# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 1 მაისი, 2013 წელი.

№81 (7208)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## „მომხიბვლელ პოლიტიკურ მიამიტობას“ თავშეკავებული გამჭრიახობა უნდა დავუპირისპიროთ

3





## გაჩინეთდება თუ გაჩინებულდება საქართველო?

- ჩინურმა კომპანიებმა საქართველოში ახალგაზრდული ოლიმპიადისთვის მზადება უკვე დაიწყეს
- ოლიმპიადის დასრულების შემდეგ კომპლექსს ჩინური კომპანია გაყიდის

4

## ნართმეული წილი და მშრალზე დარჩენილი 2868 აქციონერი

4

## „საააკაშვილი განკარგავდა ბიუჯეტს, როგორც თავის ქისას“

9

## მაგთიკომი – უწყვეტი კავშირი და უწყვეტი ზრუნვა აბონენტებზე

5

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ



## გამოჩენილი მეცნიერი, სასიქადულო მამულიშვილი!

6 7

## მინდია სალუქვაძე – 80

## „ჩვენი სიყვარული ექვს თაობას ითვლის“...



5

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სამართალი

# იუსტიციის საბჭოს მოქმედ მოსამართლე წევრებს უფლებამოსილება აუცილებლად შეუჩერდებათ

## თეა წულუკიანის ღია წერილი კოტე კუბლაშვილს



**თეა წულუკიანი მოსამართლეებს მოუწოდებს, იუსტიციის საბჭოს წევრობის კანდიდატურები წარადგინონ და საარჩევნო კამპანია დაიწყონ. როგორც იუსტიციის მინისტრმა „მეცხრე არხის“ გადაცემა „მთავარ კითხვაში“ სტუმრობისას განაცხადა, მოსამართლეებს აქვთ კარგი შესაძლებლობა, ერთი მხრივ, თავიანთი პროფესიული ცხოვრების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგან, ხოლო, მეორე მხრივ — ხელი შეუწყონ დემოკრატიული ცვლილებების განხორციელებას, რომელიც თავისუფალი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებას დაეხმარება.**

თეა წულუკიანის თქმით, იმ ფონზე, რომ პრეზიდენტმა იუსტიციის საბჭოს მოქმედი წევრებისთვის უფლებამოსილების შეჩერებას და მათი ახალი წესით არჩევის კანონპროექტს ვეტო დაადო, ხოლო პარლამენტის მიერ ვეტოს დაძლევა პროცესს გაახანგრძლივებს, მოსამართლეებს შეეძლებათ ეს დრო გონივრულად გამოიყენონ და თავისი კანდიდატურების კამპანიაზე იზრუნონ.

იუსტიციის მინისტრი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილის მიერ მოსამართლეებთან არაგეგმურად გამართულ შეხვედრებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ისინი უნდა დაირაზმონ დემოკრატიული სასამართლო რეფორმის და არა მათი ხელმძღვანელის გარშემო. — მოვუწოდებ ყველა მოსამართლეს, დაირაზმონ რეფორმის გარშემო და ამით ხელი შეუწყონ მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებას. თუ ეს მოსამართლეებზე ზეწოლად აღიქმება, მზად ვარ, პასუხი ვაგო, — განაცხადა მინისტრმა.

ამასთან, თეა წულუკიანმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კოტე კუბლაშვილს ღია წერილით მიმართა.

**— მოგეხსენებათ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ავტორობით, პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს რეფორმის შესახებ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი მოდელი მოიწონეს საქართველოს არასამთავრობო სექტორმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და სტრუქტურებმა, მათ შორის, ვენეციის კომისიამ, რომელმაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევის ახალი წესები შეაფასა, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი ამ ორგანოს დამოუკიდებლობის მიღწევის საქმეში, ხოლო თავად რეფორმაზე განაცხადა, რომ ის აახლოებს ქართულ კანონმდებლობას ევროპულ სტანდარტებთან.**

**რაც ყველაზე მთავარია, ამ რეფორმას იწონებთ თქვენ და საქართველოს მოსამართლეთა კორპუსი, რომელიც მოუთმენლად ელოდება კანონის დადებით ეფექტს სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევის პროცესზე.**

**ეს კანონი უახლოეს მომავალში შევა ძალაში და ამას პრეზიდენტის ვეტო ხელს ვერ შეუშლის.**

**საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლიდან ოთხი კვირის ვადაში, მოსამართლეთა კონფერენციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი მოსამართლე წევრები და მდივანი უნდა აირჩიოს. იმავე ვადაში, მოსამართლეთა კონფერენციამ სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრები და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეც უნდა აირჩიოს.**

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, როგორც რეფორმის ავტორი, მოგმართავთ რამდენიმე სახის თხოვნით.**

**უწინარესად, აუცილებლად მიგვაჩნია, თქვენ, როგორც მართლმსაჯულების მესვეურმა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ხელი შეუწყოთ არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებს, აქტიურად დააკვირდნენ არჩევნების პროცესს, არა მხოლოდ არჩევნების დღეს, არამედ — დღეიდანვე.**

**მეორე საკითხი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ეხება. ამიტომაც გთხოვთ, საჯარო და ადვილად ხელმისაწვდომი გახადოთ საზოგადოებისათვის მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის ამჟამინდელი რედაქცია და იმ ცვლილებების პროექტი, რომლებიც მასში იქნება შესატანი ახალი კანონიდან გამომდინარე. აგრეთვე, გთხოვთ, გვაცნობოთ:**

**— როგორი იქნება კანდიდატების დასახელების ფორმა და წესი;**

**— რა საშუალებები ექნებათ კანდიდატებს, მოსამართლეთა კორპუსის შიგნით აწარმოონ თავისუფალი საარჩევნო კამპანია;**

**— მიიღებენ თუ არა კენჭისყრაში მონაწილეობას: რეზერვში მყოფი მოსამართლეები, დეკრეტულ შვებულებაში მყოფი მოსამართლეები ან ის მოსამართლეები, რომლებსაც ამოეწურათ უფლებამოსილება, მაგრამ გაგრძელებული აქვთ ის მათ წარმოებაში არსებული საქმეების განხილვის ვადით;**

**— როგორი იქნება კონფერენციაში მონაწილეთა რეგისტრაციის პროცესი;**

**— როგორი იქნება საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და მისი დაკომპლექტების წესი; ხომ არ გეგმავთ მასში არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების ჩართვას;**

**— როგორი იქნება კენჭისყრის წესები;**

**— როგორი იქნება საარჩევნო ყუთი;**

**— როგორი იქნება საარჩევნო ბიულეტენი; — როგორი იქნება ხმის დათვლის პროცედურა;**

**— ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც საარჩევნო პროცედურას ეხება და თქვენ თვლით, რომ საზოგადოება ან რეფორმის ავტორი უწყება მას უნდა ფლობდეს.**

**და ბოლოს, გთხოვთ აგრეთვე გვაცნობოთ, ხომ არ მიმდინარეობდა ან მიმდინარეობს მოსამართლეთა რიცხვის ზრდა რეფორმის შესახებ კანონპროექტის პარლამენტში შესვლის მომენტიდან და თუ მიმდინარეობდა ან მიმდინარეობს, რა მიზეზით.**

**მადლობას გიხდით სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევისა და მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერისათვის და მზაობას გამოვთქვამ ამ საქმეში დახმარებისათვის.**

ფეისბუქიდან

# წერტილოვანი ფრაზები

● ყველგან ცხელი წერტილია. . . საით ჩავაგდო მანდილი, აღარ ვიცი. . .

● ვისაც საქართველოს გარდა სხვა სამშობლოც გააჩნია, კეთილი ინებოს და წავიდეს... ვინც თავს მსოფლიო მოქალაქედ თვლის, კეთილი ინებოს და, წავიდეს და ჩვენ, ვისაც სხვა სამშობლო არ გვაქვს (და სიმართლე გითხრათ, თუ საქართველო არ იქნება, წყალსა და მეწყერს წაუღია ყველაფერი და ყოველივე), გვაცალოს ამ მიწაზე ცხოვრება.

● „საზოგადოებაში უკვე მწიფდება აზრი — სააკაშვილი და „ნაციონალები“ ამდენს იმიტომ ბედავენ, რომ ხედავენ, რეალურად მათი დამსჯელი არავინაა. მართალი გითხრათ, მეც ვეთანხმები ხალხის განწყობას. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები არათუ ბევრს ბედავენ, ისევ მუქარით გველაპარაკებიან და ივანიშვილის მთავრობის დისკრედიტაციისთვის ძალ-ღონეს არ იშურებენ“, - აცხადებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

● მოჭერი ტოტი, რომელზეც ზიხარ, თუ მასზე ჩამოხრჩობას გიპირებენ.

● ყველას ვინც მუშაობდა ნადზორად, კანტრალიორად (არა აქვს მნიშვნელობა ციხეში, ავტობუსში, თუ ქუჩაში).

ყველას ვინც მიატოვა თავისი სოფელი, სახლი, კარი, მიწა და ინდოელებს, ჩინელებს, თურქებს დ.ა.შ მისცა საშუალება რომ იქ გაჯეჯილებულიყვნენ,




ყველას, ვისაც შრომა ეზარება და წვიმაში, ქარში, თოვლში, მზეში, ხარება დღეს, ბზობაზე მოხუც ქალს აჯარიმებს იმიტომ, რომ უგულავას ცოლს ბოტოქსით შეაშველონ . . . . !!!!!!!!!

● გიორგი ოთხმეზური: „უცხოელების ასეთი დიდი რაოდენობით შემოსვლა და დამკვიდრება ახლო მომავალში იქამდე მიგვიყვანს, რომ საკუთარ ქვეყანაში უმცირესობად ვიქცევით. ვფიქრობ, საკმაოდ მკაცრი საიმიგრაციო კანონი უნდა ავამოქმედოთ. ქართული მიწების ხელაღებით გასხვისება, რამაც წინა ხელისუფლების დროს კატასტროფული მასშტაბები მიიღო, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს... ვფიქრობ, უცხოელებსა და უცხოურ კომპანიებზე მიწის გაყიდვა უნდა აიკრძალოს.“

● ბუში უმცროსის უწიგნურობაზე ბევრი მსმენია... მისი „ცნობილი“ ფრაზების წიგნიც კი გამოიცა, მაგრამ ეს სხვა ისტორიაა... მე სხვა რამ მაწუხებს :)) როგორ უნდა „გიყვარდეს“ და „აფასებდე“ კაცს, რომ მასზე, ჯერ კიდევ ქვეყნის პრეზიდენტზე, რომელზეც ერთ დროს ვითომდა მზე და მთვარე ამოგდიოდა და „დემოკრატიის შუქურაც“ კი უწოდე და რომელმაც, საქართველოს ისტორიაში მართლაც პირველად, ისეთი სამარცხვინო „აქტი“ ჩაიდინა, რომ დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას შენი სახელიც კი უწოდა, რამაც არა მხოლოდ აშშ, არამედ მთელი მსოფლიო შოკში ჩააგდო და ამის გამო საქართველო მლიქვნელობისა და ფეხვეშგების უპრეცედენტო მაგალითად აქცია, ასეთი რამ თქვა:

„ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში ერთ-ერთი მთავარი მიღწევა ის არის, რომ სააკაშვილის გვარის სწორად წარმოთქმა ვისწავლე“-ო :)))))

ამაზეა ნათქვამი, ფერი ფერს და მადლი ღმერთსო ))) ქე უნდა ყვარებოდათ ერთმანეთი...

ამ ორი „პრეზიდენტის“ კრეტინიზმს მართლაც საზღვარი არ აქვს... :)))

● რაიო, უცხოელები მოდიან, ჩვენს მიწებს იპატრონებენო? რამდენიმე დღეა სოფელში ვარ და მოთელვით ვარჯიშებს ვატარებ. ხვალ რომ დავაგუგუნებ ტრაქტორს და მივხნავ-მოვხნავ ჩემს კუთვნილს, მერე კი მივეხმარები მტერს და მოყვარეს, მარა უცხოელებო მიფრთხილდით, აქ რომ მოვრჩები, თქვენთან უნდა გადავხნა მინდორ-ველი. უხ, თქვენი.....

**გია გაბრიჭიძე**

ინფორმაცია

# პროკურატურა უშიშროების საბჭოს საქმიანობის გამოძიებას აწარმოებს



**ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა „ტელეიმედს„ განუცხადა.**

მისივე თქმით, პროკურატურაში მრავალი გამოძიება მიმდინარეობს, ერთ-ერთი გამოძიება კი შეეხება გარკვეული პერიოდის განმავლობაში უშიშროების საბჭოს საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, სახელმწიფო სახსრების ხარჯვის კანონიერებას.

— ამ მხრივ მიმდინარეობს ჩვეულებრივი საგამოძიებო პროცესი და, როდესაც დასრულდება იგი, ამის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას ვაუწყებთ, — აღნიშნა კბილაშვილმა.

ალიან-ჩალიანი

## ერგნეთის ბაზრობა მნიშვნელოვანი სამშვიდობო ინსტრუმენტია

**— ამის შესახებ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ქეთევან ციხელაშვილმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სემინარზე განაცხადა.**

**კომენტარი ამ თემაზე ქეთევან ციხელაშვილმა მას შემდეგ გააკეთა, რაც საპარლამენტო უმცირესობის წევრმა დავით დარჩიაშვილმა კითხვა დაუსვა, რამდენად აუცილებელია ამ ბაზრობის გახსნა და შეძლებს თუ არა საქართველოს მთავრობა საზღვრის კონტროლს.**

**როგორც ქეთევან ციხელაშვილმა აღნიშნა, ერგნეთის ბაზრობას ყოველთვის ახლდა თან კრიმინალი, თუმცა ამ ბაზრობას ყოფილი ხელისუფლება უყურადღებოდ და სწორხაზოვნად უდგებოდა.**

**— დღეს არსებობს ბარიერები და ისინი საქართველოს მხრიდან არ არის აღმართული. ჩვენ ვცდილობთ ამ ბარიერების მოხსნას, ვეცდებით, გასვლისა და შესვლის ადგილები გამოვყოთ და სიტუაცია შემდეგ უფრო დინამიკური გახდება. კეთილი ნების შემთხვევაში, ეს შესაძლებელია. მიგვაჩნია, რომ კონფლიქტის მოგვარებისადმი ხისტი და სწორხაზოვანი მიდგომა არასწორია, ჩვენ უნდა ვიყოთ კრეატიულები, — აღნიშნა ქეთევან ციხელაშვილმა.**

## ეროვნული ბანკი სწრაფი გადახდის აპარატების საკითხს სწავლობს

**ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის განცხადებით, სწრაფი გადახდის აპარატებით სარგებლობის სერვისის გაძვირების გამო მობილურ ოპერატორებთან „კითხვის ნიშნები“ არსებობს.**

**— ამ თემაზე არის კითხვის ნიშნები ყველა მონაწილის, მათ შორის მობილური ოპერატორების მიმართ. თუ როგორ მოხდა, რომ ერთ დღეს სამივე მობილურმა ოპერატორმა გადაწყვიტა თავის სადისტრიბუციო პოლიტიკის შეცვლა და ერთ დღეს იდენტური ხელშეკრულებები გაუგზავნეს ყველა მონაწილეს, რაც რეალურად მათი სერვისის გაძვირებას ნიშნავს, — განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.**

**მისივე განმარტებით, ეროვნული ბანკი სწავლობს სწრაფი გადახდის აპარატების ფინანსურ მდგომარეობასაც, თუ რამდენად რეალურად არსებობს მათი გაკოტრების საფრთხე.**

## სოჭის ოლიმპიადისთვის განკუთვნილმა ტვირთმა ჩვენს ტერიტორიაზე გაიაროსო

**თურქეთი დაინტერესებულია, სოჭის ოლიმპიადისთვის საკმაოდ დიდი რაოდენობის ტვირთი, ტრანზიტის სახით, საქართველოს ტერიტორიაზე გაატაროს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ განაცხადა. მისი თქმით, ეს საკითხი არის განსჯის საგანი.**

**— საუბარია თურქული ტვირთების გატარებაზე საქართველოს გავლით, ყაზბეგი-ლარსის მარშრუტით. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ეს მსჯელობის საგანია და მისი განხილვა საექსპერტო დონეზე მიმდინარეობს. მაგრამ, ეს თავისთავად საინტერესოა, რადგან საკმაოდ სოლიდური საბიუჯეტო შემოსავალს მოიტანს საქართველოსთვის, თუ ეს გაკეთდა, — აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.**

**ამასთან, ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა, თუ რა საკითხებზე გაამახვილა ყურადღება სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მიმდინარე „როუზ-როსის“ სემინარზე სიტყვით გამოსვლისას. აბაშიძის თქმით, დღეს საუბარი შეეხო პირდაპირი დიალოგის იმ ფორმატს, რომელიც პრემიერის ინიციატივით შეიქმნა და რომელიც გულისხმობს შეხვედრებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# „მომხიბვლელ პოლიტიკურ მიამიტობას“ თავშეკავებული გამჭრიახობა უნდა დავუპირისპიროთ



**დღევანდელი გაცხარებული კამათი 2008 წლის ომის მიზეზებზე, მის არსსა და შედეგზე, ცხადია, აზრთა დიდ სხვაობა-დაპირისპირებას იწვევს. ამიტომაც მოდით, პატივცემულო მკითხველო, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი იმას, თუ რა ტიპის სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე, რა ენაზე ვსაუბრობდით მასთან და მომავალში როგორ უნდა წარვმართოთ მასთან ნებაყოფლობითი თუ იძულებითი დიალოგი.**

რუსეთში დავიბადე, ასპირანტურაშიც იქ ვსწავლობდი და ბოლოს, 1994 წლიდან 2009 წლამდე იქ ვცხოვრობდი, მერეც ხშირად მიწევდა ჩასვლა, წელსაც ერთი თვე დავყავი სანკტ-პეტერბურგში და ახალი „შთაბეჭდილებებით“ დავბრუნდი.

ახალი შთაბეჭდილებები საერთო სიტუაციის გაუარესებას ეხება. პუტინის რეიტინგმა მნიშვნელოვნად დაიწია და, ეტყობა, სწორედ ამ ფაქტორმა, გამოიწვია სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტოებსა და არასახელმწიფო ელიტურ ბიზნესში სასტიკი წმენდა. მაგრამ ამ უკიდეგანო ქვეყანაში, და თანაც XXI საუკუნეში, ასეთი „გენერალური დალაგება-დასუფთავება“ მხოლოდ გარეგნული ცვლილებების მომასწავებელია. ამრიგად, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ფასადური დემოკრატიის შენების მოწმე გავხდი, თუმცა კი, ყველაფერი არც ისე უბრალოდ, პრიმიტიულად აიხსნება.

ერთი თვე ვცდილობდი, გამეაზრა, თუ რა ხდება... ამ ერში აშკარად სტრესის ნიშნებს ვამჩნევდი და ბოლოს სხვა არაფერი დარჩა იმის გარდა, რომ სიღრმისეულ „თავისუფლების“ თემაზე შევჩერებულიყავი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად რუსეთში, მართალია დამახინჯებულად, მაგრამ მაინც მცირეოდენი დემოკრატია შეიჭრა. ეს არც ხელისუფლების მონაპოვარი იყო და არც ხალხისა – დრომ, ახალმა ათასწლეულმა მოიტანა. „თავისუფლება“, როგორც ცნება, საკმაოდ რთული ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური კატეგორიაა – ყველა დროში მოაზროვნე ადამიანებს ეს საკითხი მეტად აღელვებდათ, მის ამოცნობაზე ინტელექტუალურ ძალებს არ იშურებდნენ. დღესაც ამ თემაზე კამათისას ხშირად იშველიებენ ხან იასპერს, ხან ჰაიდეგერს. ქვეცნობიერი ლტოლვა არქაული, მშვიდი, უპასუხისმგებლო მონური ცხოვრებისკენ პროტესტულ-ანარქიულ განწყობას შობს. ალბათ, ამის შეგრძნებამ დააწერინა მიხეილ ბულგაკოვს: **„ერი კი არა – ნახირია, ხეპრე, ველურ მკვლელთა და ავსულთა ხროვა“.** სხვათა შორის, ზოგიერთი რუსი ისტორიის მკვლევარი თვლის, რომ 1917 წლის გადატრიალება რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გაუქმების შედეგი იყო. განთავისუფლებულმა ყმებმა ვერ აიტანეს, ვერ შეეგუენ, ვერ გაითავისეს თავისუფლების შედეგად მათთვის „ნაჩუქარი“ (პირველ ყოვლისა) სოციალური პასუხისმგებლობა. 1917 წლის მოვლენებმა გამოხატეს ყოფილი ყმების წარსულისკენ ლტოლვა, სადაც მათთვის ნაცნობი იოლი, წყნარი, უპასუხისმგებლო მონობა დარჩა და ... ააშენეს კიდეც ახალი ტიპის მონათა საზოგადოება სახელად საბჭოთა კავშირი. დღესაც, სტრესის ფონზე, ასეთმა ქვეცნობიერმა ლტოლვამ მიიყვანა ქვეყანა გასული წლის შედეგებამდე, რომლებმაც თავდაპირველად შემძრა:

**2012 წლის ოფიციალური მონაცემებით, რუსეთში 8 მილიონი ნარკოტიკის აქტიური მომხმარებელია.** ექსპერტები 14-16 მილიონს ასახელებენ.

**ოფიციალური მონაცემებით, რუსეთში სრულწლოვანი მოსახლეობის 25% ქრონიკული ალკოჰოლიკია.** ექსპერტები და ჩინოვნიკები 35%-აც ასახელებენ.

ოფიციალური მონაცემებით, რუსეთში წელიწადში **800 ათასი კაცი ალკოჰოლის მიზეზით კვდება.** ექიმები და ექსპერტები მინიმუმ 1,3 მილიონს ასახელებენ.

**ოფიციალური მონაცემებით, რუსეთში ავღანეთიდან წელიწადში 35 ტონა ნარკოტიკი შედის.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკები 42-44 ტონას ასახელებენ.

**ოფიციალური მონაცემებით, რუსეთში 15 მილიონი კაცი მძიმე ფსიქიკური ავადმყოფია და საზოგადოებისთვის რეალურ საშიშროებას წარმოადგენს.** ექიმები და ექსპერტები 20-21 მილიონს ასახელებენ.

ეს ინფორმაცია „დაგვირგვინდა“ 2013 წლის სოციოლოგიური მონაცემებით, რომელთა შედეგი შეგვიძლია ასე აღვწეროთ: **1.** სახელმწიფოში შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არ სურს საკუთარი ბიზნესის დაწყება. მოსახლეობის იმ ნაწილზე გვაქვს საუბარი, რომელსაც ეს შესაძლებლობა ნამდვილად აქვს. ბიზნესი მათთვის, უწინარესად, მიუღებელია სწორედ ზემოთ ხსენებული თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის გამო. გამოკითხვისას გაირკვა, რომ ამ ადამიანებს ჩინოვნიკობა სურთ. ეს რუსეთის ეკონომიკისთვის ტოტალური დანაკარგია, ვინაიდან სპობს სახელმწიფო განვითარებისთვის ესოდენ აუცილებელ ინიციატივას **2.** ასეთივე შედეგია მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში – აბსოლუტური უმრავლესობა მიილტვის „გაზპრომის“ ტიპის კორპორაციებისკენ, რაც, რუსი მეცნიერების აზრით, უკვე კატასტროფის ტოლფასია.

2011 წლის ზაფხულში „საქართველოს რესპუბლიკაში“ რუსეთზე დიდი მასალა გამოვაქვეყნე, რომელსაც სათაურად „საოცარი ქვეყანა“ შევარჩიე. სტატიას უძღოდა ალექსანდრე პუშკინის სიტყვები: **„ერი, რომელიც გულგრილია თუნდაც მცირედი მოვალეობისადმი, მცირედი სამართლიანობისადმი, მცირედი სიმართლისადმი, ერი, რომელიც არ აღიარებს ადამიანურ ღირსებას, რომელიც საერთოდ არ ცნობს თავისუფლებას, არც თავისუფალ აზროვნებას ცნობს...“** მართლაც საოცარი ქვეყანაა, მოსახლეობის საოცრად დამახინჯებული მენტალობით და საოცრად მდგრადი საბჭოური ტრადიციებით. ფასადური დემოკრატია რაც არის, ყველამ კარგად ვიცით. პუტინისეული ვარიანტი კი ქართულისგან მკვეთრად განსხვავდება მისი სიტლანქით, პრიმიტიულობით და არათანამიმდევრულობით – მოკლედ, სუროგატულობით და დაუხვეწაობით. პუტინისთვის სავსებით გამართლებულია მისი რეიტინგის (სიმპათიების მხრივ) ვარდნა. რუსულ მენტალობაში ხელისუფლისადმი შიშია მნიშვნელოვანი. სწორედ ეს და მხოლოდ ეს იწვევს მისდამი პატივისცემასა და მორჩილებას. ზოგიერთი რამ რუსული მენტალობიდან არც თავად რუსეთშია შეუმჩნეველი. მაგალითად, ჟურნალისტ ნიკოლაი ტროიცკისთვის, რომელიც თავის „ვლადიმერ პუტინის პორტრეტში“ წერს: **„ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინი აცოცხლებს ორ ჟანრს – ინვექტივებს და დითირამბებს. იგი, ან ალალად უყვართ, ან სრულ გამოშტერებამდე ეჯავრებათ. მას ან ეშმაკად აღიქვამენ, ან საკრალურ თვისებებს ანიჭებენ. გასაგებია, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკის გარშემო ორბიტაზე ტრიალებს“.**

ჩვენ ქვეყნაში მცხოვრებთა უმრავლესობა პუტინს ყველაზე მთავარ კაცად თვლის – განურჩევლად იმისა, თუ რა თანამდებობა ეკავა ან უკავია დღეს – ჩვეულებრივ მოსწონთ და მხარს უჭერენ. ოდესღაც მან მოსახლეობის დარწმუნება მოახერხა იმაში, რომ წესრიგის, სიმშვიდის და ხელისუფლების ვერტიკალის განსახიერებაა – ყველაფრის, რამაც შეცვალა თავაწყვეტილი ჰორიზონტალი და უწესრიგობა. ამრიგად, ეს მტკიცე მოსაზრება დღემდე შემორჩა.

ვლადიმერ პუტინს ეხერხება **ხალხ**ის ჩაგონება და დარწმუნება. სუკის უმაღლეს სკოლაში მას ასწავლეს: **ხალხ**ისთვის „თავისიანად“ თავის მოჩვენება; უბრალოება; სიმართლისთვის მებრძოლ კაცად თავის მოჩვენება; ნებისმიერ მოსაუბრესთან საჭირო სიტყვების გამონახვა; ხმაში ფოლადის ჩაყენება და გაბედული ფორმულირებების ხმარება, რაც ეროვნული ლიდერის, იმედისმომცემი მეფისა და ყველას მამის იმიჯს უქმნის.

პუტინი ისე ჩაიქსოვა ჩვენს სინამდვილეში, თითქოს ყოველთვის არსებობდა.

თუმცაღა, არც ისე დიდი ხნის წინათ, 12 წლის წინათ, მას ცოტა ვინმე თუ იცნობდა. ის თვითონაც სულაც არ მიიწევდა პოლიტიკისკენ – არასოდეს უბრძოლია ხელისუფლებისთვის. საგანგებოდ გაწვრთნილმა ადამიანებმა გამოაძვრინეს ის ხალიჩის ქვეშიდან და ბრძოლის არენაზე შემოაგდეს.

მემკვიდრე იმისგან გამოძერწეს, რაც ხელთ ჰქონდათ. მასალა შესაფერისი გამოდგა – შემქმნელებს არ უძალიანდებოდა. გაოცებული მაყურებლის თვალწინ ვლადიმერ პუტინი პოლიტიკოსად იქცა. თავდაპირველად faux pas-ში იჭრებოდა – უადგილო ღიმილით „ჩაიძირაო“. მაგრამ, დებიუტანტი მალე დაეუფლა პოლიტიკურ თვალთმაქცობას და ამჟამად ოსტატურად ასახიერებს უსაზღვრო სიხარულსაც, უდიდეს სევდასაც... და, მიუხედავად დროთა და ეპოქათა მსვლელობა-ცვლილებისა, დაჟინებით თავისას მიერეკება. გამოუსწორებელი კონსერვატორი და კონტრრევოლუციონერი პუტინი იმ პრინციპიდან გამოდის, რომ რუსეთში არავის გამოღვიძება არ ღირს. ის თვლის, რომ **ხალხ**ისთვის მავნეა არა მარტო დიადი, ქარიშხლიანი ცვლილებები, არამედ ცვლილებების მიმანიშნებელი ოდნავი სიოც კი. მოდერნიზება, ინოვაციები – ამ სიტყვებს მხოლოდ ირონიით თუ წარმოთქვამს. ეტყობა იგი თვლის, რომ ერის სასიკეთოდ ყველაფერი ძველებურად უნდა დარჩეს.

ხალხიც მაინცდამაინც არ უძალიანდება: მიყუჩება-მოდუნება თუ სტაბილურობა, ვისაც როგორ ოდესღაც, უმრავლესობისთვის ყოველთვის მოსახერხებელი და სასიამოვნოა. ყველაფერი კარგი საბოლოოდ მთავრდება. მაგრამ, ვლადიმერ პუტინი დღევანდელი დღით ცხოვრობს, ყოველ შემთხვევაში ის ასე ფიქრობს.

რაც უფრო შორს ხარ კაცი სამშობლოდან, მით უფრო მკაფიოდ ხედავ პერსპექტივას. ვფიქრობ, რომ ზევით მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები, ციტატები და სხვა, უწინარესად, პრორუსულად განწყობილი პოლიტიკოსებისთვისაა გასათვალისწინებელი, ვინაიდან კარგად უნდა გვესმოდეს, თუ ვისთან გვაქვს საქმე. დარწმუნებული ვარ: მაქსიმ გორკის კარგად ჰქონდა გააზრებული როდესაც წერდა: **„რუსი ხალხის წარმატების უმთავრესი ნიშანი მისი სადისტური სისასტიკეა“.** ეს, ჩემი აკვიატებული, რევანშისტული პოზიცია არ გახლავთ – ამ ქვეყანასთან ათმაგი სიფრთხილე და დიდი დაფიქრება გვმართებს – რუსეთთან გადამეტებული პოლიტკორექტულობა და, ამავ დროს, თანამედროვე დიპლომატიური, დემოკრატიულად დახვეწილი სტილისტიკა უადგილოცაა და მავნეც. რუსული მენტალობა მოსაუბრის დელიკატობას, დამთმობ კეთილშობილებას, თავშეკავებულ ღირსებას აღიქვამს როგორც შიშს და სისუსტეს, რაც მის დაუნდობელ აგრესიულობას კიდევ უფრო მეტად აღვივებდა.

**მალხაზ ჟვანია.**

**P. S. 14 აპრილის „ერტეერ“-ის „კვირა საღამოს“ გადაცემაში ვლადიმერ სოლოვიოვს სტუმრობდა რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანი დმიტრი პესკოვი, რომლის უმაღლესმა პროფესიონალიზმა დაადასტურა რუსეთის ხელისუფლების გამჭრიახობა საკადრო პოლიტიკის საკითხებში, მით უმეტეს, თუ ეს პრეზიდენტის ხელისუფლების პრესტიჟს ეხება. პესკოვმა სოლოვიოვის არა მხოლოდ ყველა, საკმაოდ პროვოკაციულ კითხვას გასცა ამომწურავი პასუხი, არამედ ეს კითხვები ოსტატურად გამოიყენა პუტინის პორტრეტის შესამკობად – მოახერხა მრავალმილიონიანი მაყურებლით მანიპულირება.**

**ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ხელისუფლებისთვის საინფორმაციო ველში (კადრების თვალსაზრისით) პროფესიონალიზმის დონე, რომელითაც დღეს, სამწუხაროდ, დიდად ვერ ვიამაყებთ.**

**მ. ჟ.**

## ალიან-ჩალიანი



# იზეიმეს შეიარაღებული ძალების დღე

**ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე საქართველოს შეიარაღებული ძალების დაარსების 22 წლისთავთან დაკავშირებით საჩვენებელი საველე ტაქტიკური სწავლება „ისარი 013“ გაიმართა.**

**საჩვენებელ სწავლებას ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი და მინისტრთა კაბინეტის თითქმის ყველა წევრი.**

**საჩვენებელი სწავლება დაახლოებით 40 წუთი გაგრძელდა. სწავლების შემდეგ ბიძინა ივანიშვილი სამხედროებს პირადად მიესალმა.**

**– მინდა, მივულოცო ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს ეს დღე. მათ უდიდესი, ურთულესი და ყველაზე საპატიო მისია აკისრიათ – ისინი ერთგულად ემსახურებიან სამშობლოს, იცავენ ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ხალხს და საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების სადარაჯოზე დგანან. ჩვენ ვამაყობთ იმ გმირული სულისკვეთებით, რომელიც ჯარში სუფევს. ჯარისკაცები ჩვენი ხალხის, ჩვენი საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენლები არიან. დღეს ჩვენი სამხედროებისთვის ისევე საამაყოა ჯარისკაცობა, როგორც ჩვენი წინაპრებისთვის იყო, ისინი ისევე მზად არიან, დაიცვან ქართული სახელმწიფო და სიცოცხლეც არ დაიშურონ მისთვის.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## თადარიგის დაჭერა გვმართებს!

# გაჩინეთდება თუ გაჩინებულდება საქართველო?

**• ჩინურმა კომპანიებმა საქართველოში ახალგაზრდული ოლიმპიადისთვის მზადება უკვე დაიწყეს**

**• ოლიმპიადის დასრულების შემდეგ კომპლექსს ჩინური კომპანია გაყიდის**



ვინც თბილისის ზღვისკენ მოხვდება, აუცილებლად შეამჩნევს, რომ დიდი მშენებლობა იგეგმება. შემოღობილი ტერიტორიის შიგნით მუშები ისე თავჩაღუნული მუშაობენ, ქართველები არ არიანო, მაშინვე იფიქრებ. რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მუშაობის ტემპის სისწრაფე უფრო თვალში საცემი ხდებოდა. ვცადე გამერკვია, რას აშენებენ, როდის დაიწყო მშენებლობა, ვინ აშენებს. პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით მათი ლაპარაკი ჩინური იყო ჩემთვის. დიახ, ისინი ჩინელები არიან, რომლებმაც 2015 წლამდე აქ ოლიმპიური კომპლექსის აშენება უნდა მოასწრონ. იმ მონაკვეთზე, სადაც ჩინური კომპანია მუშაობს, უმეტესობა ჩინელია დასაქმებული. წესებს მკაცრად იცავენ, ორი ქართველი, რომელიც ჩინელებთან მუშაობდა, გასაუბრებაზე ვერ გამოვიდა, სამუშაო საათებში ვერ გამოვალთ, გაგვყრიანო. ერთ-ერთმა თანამშრომელმა თქვა, ჩინელებთან მომუშავე ქართველები ძალიან ცოტა დარჩა – 2-3, ზოგი გაყარეს, ზოგი თავისით წავიდაო. რამდენიმე ჩინურ კომპანიასთან ერთად ამ პროექტზე ქართული სამშენებლო კომპანია „მიქსორი“ მუშაობს.

**ვაჟა სუხაშვილი, სამშენებლო საქმეთა მწარმოებელი: „ამ ტერიტორიაზე „მიქსორი“ მუშაობს და მხოლოდ ქართველები არიან დასაქმებულები, დაახლოებით 130-მდე იქნება. მუშაობა ყოველდღეა, კვირის გარდა, ცხრა საათიდან ექვსამდე. ჩვენს მუშებს ჩინელებთან ურთიერთობა არ უხდებათ, ამიტომ აქ არანაირი პრობლემა არ არის“.**

**პაატა ზარქუა, ერთ-ერთი კორპუსის მშენებლობის ხელმძღვანელი: „კმაყოფილი ვარ სამუშაოთი, თორემ აქამდე არ ვიქნებოდი აქ. ხელფასიც ნორმალურია. ჩინელებთან ურთიერთობა მე არ მაქვს. მინდა, აღვნიშნო, რომ კვების მხრივ, ეს კომპანია დიდ ყურადღებას გვაქცევს“.**

**მამუკა ჯოლოგუა, მუშა: „თებერვალში მოვედი აქ, საკმაოდ რთული სამუშაოა, ჩვენ ჩინელებთან არ გვიხდება ურთიერთობა.“**

**სურაჯი უბილავა, მუშა: „სამუშაოს არა უშავს, აქ მუშაობა და კმაყოფილება საიდან უნდა იყოს. ხელფასიც ნორმალურია“.**

ხუალინგის საერთაშორისო სპეციალურ-ეკონომიკური ზონის სააქციო საზოგადოების ოფისი ვაზისუბანში ყოფილ მეორმოცე საჯარო სკოლაშია განთავსებული. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერ **თინათინ შიშინაშვილის** განცხადებით, ეს შენობა კომპანიამ სკოლის გაუქმებიდან რამდენიმე თვეში შეიძინა. კომპანია Hualing international special economic zone-ის დირექტორი **კე ვანგია.** კომპანიამ რეგისტრაცია საჯარო რეესტრში 2012 წლის 15 მარტს გაიარა.



**– თინათინ შიშინაშვილი: „ოლიმპიური კომპლექსის მშენებლობა დაახლოებით ზაფხულის ბოლოს დაიწყო. ამჟამად მიმდინარეობს ოლიმპიური სოფლის პირველი ექვსი კორპუსის მშენებლობა, რომელიც 2015 წლის დადგომამდე უნდა დასრულდეს“.**

**– რამდენი ქართველია დასაქმებული?**

– ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების მიხედვით 70% უნდა იყოს ქართველი თანამშრომელი და 30% – ჩინელი. ამჟამად 80%-ზე მეტი ქართველია დასაქმებული. 500 თანამშრომელზე მეტია ქართველი.

**– ეს მუშახელის პროცენტული მაჩვენებელია?**

– ეს საერთოდ კომპანიაშია ამდენი. მშენებლობას ასრულებს კონტრაქტორი კომპანია, მას ცალკე ჰყავს თავისი პერსონალი. მე რა მაჩვენებელსაც გეუბნებით, ამაში იგულისხმებიან ისინი, ვინც მშენებლობაშიც არის და ოფისშიც. ჩვენ გვაქვს ოფიციალურად გაფორმებული კონტრაქტი ქართულ სამშენებლო კომპანიებთან და ამის დამამტკიცებელი საბუთი არის. ბოლოს ჩატარებული ტენდერის მიხედვით სამი ახალი კომპანია გამოვლინდა.

**– სახელმწიფოს ვისთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება?**

– საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიას და ჩვენ – კომპანია ხუალინგის საერთაშორისო სპეციალურ-ეკონომიკურ ზონას სააქციო საზოგადოებას გაფორმებული გვაქვს სამმხრივი ხელშეკრულება და მერე ჩვენ გვყავს უკვე ჩვენი კონტრაქტორი კომპანიები. ჩვენ ვართ ინვესტორი. კონტრაქტორი კომპანიები აქ არ დებენ ხელშეკრულებას.

**– როდის გაფორმდა ხელშეკრულება?**

– 2012 წლის 30 მარტს.

**– რას გულისხმობს ხელშეკრულება?**

– აღებული ვალდებულებით, ოლიმპიადის ჩატარების პერიოდში მთელი კომპლექსი სამი თვით უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს ქართულ მხარეს, რომ დამთავრდება ოლიმპიადა, ის დაუბრუნდება ისევ კომპანიას და დაიწყება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გაყიდვა. იქნება ჩვეულებრივი პროექტი. ექვსი საცხოვრებელი კორპუსი გულისხმობს იგივე ბინებს. კონტრაქტის მიხედვით, აგრეთვე, გაიმართება დამატებითი ბინების მშენებლობა.

**– ოლიმპიური კომპლექსის ფართი რამდენია?**

– 250000 კვადრატი.

**– საბოლოოდ რა უნდა აშენდეს იქ?**

– ოლიმპიური სოფელი, სავაჭრო ცენტრის მშენებლობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. შემდეგ უკვე გაგრძელდება ინვესტიციების ჩადება, იმის მიხედვით, რაც იქნება ბაზრის მოთხოვნა. ეს არ არის მინი ქალაქი, ეს არ არის არც ჩინელების სოფელი (ილიმება), ამას დაერქმევა თავისი სახელი, ეს არის შეერთებული როგორც სავაჭრო-საზოგადოებრივი მოხმარების და კომერციული ფართების, ასევე მინივილები, სარეკრეაციო ზონა, სპორტული პატარა მოედნები. ამას ახლა ქართველი არქიტექტორები გეგმავენ.

**– როგორც ვიცი, სპორტული ინფრასტრუქტურა, სპორტული მოედნებით ოლიმპიური კომპლექსი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს...**

– დიახ. ჩვენ ვალდებულება გვაქვს აღებული საძილე უბანზე, საძილე ინფრასტრუქტურაზე, კვება, მედიაცენტრი და დანარჩენი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს.

**ზოგი ამბობს, რომ აქ მშენებლობის დასრულების შემდეგ 126 000 ჩინელი უნდა ჩამოასახლონ. ამასთან დაკავშირებით ხალხი უკვე გამოთქვამს პროტესტს, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ ინფორმაციას არც ერთი მხარე არ ადასტურებს. ფაქტია, ოლიმპიადის დასრულების შემდეგ ბინები გაიყიდება, გაყიდვა თავისუფალია და ვისაც უნდა, ბინასაც ის იყიდის, ქართველი იქნება ის, ჩინელი თუ რუსი. ამ საქმის თავი და ბოლო ისეთივე გაუგებარია, როგორც იმ დღეს ჩემთვის ჩინური. დრო ყველაფერს გვიჩვენებს, ბრძოლა კი გვიან არასდროს არის.**

**ისე, რასაკვირველია, სიფრთხილეს თავი არ სტკივა...**

**თადარიგიც, ცხადია, აქედანვე უნდა დავიჭიროთ.**

**თინათინ დვალი,**
**გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი, „სრ“ სპეც. კორ.**

## ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ

# წართმეული წილი და მშრალზე დარჩენილი 2868 აქციონერი

**ამას წინათ გაიმართა სს „ქართული ფილმის“ თანამშრომლების საერთო კრება. ამ საზოგადოებაში გაერთიანებული არიან ქართული კინოს მოღვაწენი, რომლებიც 103-წლიანი ისტორიის განმავლობაში ქმნიდნენ ქართული კინოს უმდიდრეს ბიოგრაფიას, იცავდნენ ქართული სახელმწიფოს ღირსებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ.**

სს „ქართული ფილმის თანამშრომლები“ დაარსდა 1990-იან წლებში საქართველოს სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, მათი იურიდიული შეთანხმებით შეიქმნა სს „ქართული ფილმი“. აღნიშნული საზოგადოების პარტნიორული ურთიერთობები წესრიგდებოდა საქართველოს კანონმდებლობითა და წილობრივი მონაწილეობა განსაზღვრული იყო ასე: 2/3 – სახელმწიფო და 1/3 სს „ქართული ფილმის თანამშრომლები“. სს „ქართული ფილმის“ ქონება განისაზღვრებოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული კინოთეატრებით, კინოგაქირავებებით, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ძველი, ისტორიული კინოსტუდიით და დიღმის ტერიტორიაზე არსებული ე. წ. „ახალი კინოსტუდიით“.

შემდეგ ხელისუფლებამ არაკანონიერად დაიწყო კინოთეატრების გასხვისება. ზოგიერთი კინოთეატრი საერთოდ გაიძარცვა და დაინგრა, წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში მიზანმიმართულად დაიწყო კინოთეატრების და სხვა დაწესებულებების, ვითომდა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, კინოხელოვნების საქართველოს მოსახლეობიდან ჩამოშორების და მათი კულტურული ცხოვრების სრული იგნორირება როგორც კინოს, ასევე კულტურის სახლების სრული ლიკვიდაცია, რათა რეგიონებში მაცხოვრებელი ჩვენი მოქალაქეები დაეტოვებინათ სულიერი საზრდოს გარეშე. სწორედ ასეთმა ქმედებამ, ეკონომიკურ სიდუხჭირესთან ერთად, გამოიწვია მოსახლეობის მიგრაცია, მაგრამ დიდმა ქალაქებმაც ვერ დააკმაყოფილა მოსახლეობა სულიერად კინოთეატრების სიმცირისა და მიუწვდომელი ფასების გამო.

წინა ხელისუფლებამ სს „ქართული ფილმის თანამშრომლების“ უკანონოდ და მიზანმიმართულად წაართვა წილი ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეშვეობით, სამინისტრომ რამდენიმე მილიონად შეფასებული 1/3 წილი მხოლოდ 321 300 ლარად შეიძინა აუქციონის მეშვეობით. სს „ქართული ფილმის თანამშრომლების“ აქციონერები უწილოდ დარჩნენ.

ამ ქმედებით სს „ქართული ფილმის“ 100 პროცენტი წილის მფლობელი გახდა წინა ხელისუფლების ეკონომიკის სამინისტრო, რის შემდეგაც, ყოფილმა ჩინოვნიკებმა მაშინვე, სასწრაფო წესით, ვინაიდან მათ ხელს არ უშლიდა სს „ქართული ფილმის თანამშრომლები“, საწესდებო კაპიტალიდან ამოიღეს მთელი ქონება (კინოთეატრები საქართველოს მთელი მასშტაბით) და თავად სს „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელობისთვის შექმნეს შპს „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“, რომელსაც საწესდებო კაპიტალში გადასცეს მხოლოდ დიღმის ტერიტორიაზე, ახმეტელის ქ. 10ა-ში მდებარე ახალი კინოსტუდიის ტერიტორია, რომლის თითქმის 2/3 ნაწილი ასევე გასხვისდა. დღეს სს „ქართული ფილმის“ მფლობელობაში დარჩა ორი შენობა-ნაგებობა. მასთან მიმავალი გზა და თითქმის დანგრევის პირას მისული ლაბორატორია.

2013 წლის აპრილს სს „ქართული ფილმის თანამშრომლების“ საერთო კრებაზე აქციონერებმა დასვეს მათი წილის გასხვისების კანონიერების საკითხი, ვინაიდან წილი მათთან შეუთანხმებლად გასხვისდა. ასეთი ქმედება მიიჩნიეს უკანონოდ, შეურაცხმყოფელად და გადაწყვიტეს თანხა – 321 300 ლარი, რომელიც ხელუხლებლად დევს საბანკო ანგარიშზე, დაუბრუნდეს სახელმწიფოს, ხოლო მათი კუთვნილი წილი გადაეცეს სს „ქართული ფილმის თანამშრომლებს“.

კრების მონაწილეებმა მიღებული გადაწყვეტილება გაუგზავნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს და დახმარება სთხოვეს კანონიერების აღდგენაში, იმაში, რომ „ქართული ფილმის თანამშრომლებს“ დაუბრუნდეთ წართმეული ქონება.

**ალექსანდრე ალექსიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## „დიმიტროობა“ ქვიშხეთში

# „ჩვენი სიყვარული ექვს თაობას ითვლის“...

**26 აპრილს ქვიშხეთში აღინიშნა წმინდა დიმიტრი (ყიფიანის) — სამშობლოსათვის წამებულის ხსენების დღე. წმინდა დიმიტრი (ყიფიანის) სულის მოსახსენიებელი პარაკლისი ქვიშხეთის მაცხოვრის აღდგომის ეკლესიაში მამა გიორგი (გელაშვილმა) გადაიხადა. პარაკლისს, ქვიშხეთელებთან ერთად, დაესწრნენ სტუმრები, დიმიტრი ყიფიანის შთამომავლები. შემდეგ მათ მოინახულეს დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილის — ნინო (ნუცა) ყიფიანის განახლებული საფლავი.**

ყიფიანის საფლავზე სიტყვით გამოვიდნენ:. ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი, ისტორიკოსი **თამაზ ლაცაბიძე,** დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ამაგდარი მუშაკი, ისტორიკოსი **გივი გელაშვილი...**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პოეტმა-აკადემიკოსმა, პროფესორმა **მურად მთვარელიძემ** გაიხსენა შალვა ამირეჯიბის მიერ ნინო (ნუცა) ყიფიანზე ნათქვამი: თუ თეთრ გიორგის წინაპრები შეიძლება დაეძებნოს საქართველოში, მაშინ ნინო ყიფიანი უნდა მოვიაზროთ თეთრი გიორგის წინაპართა შორისო. „ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეფასებაა და, ამავდროულად, ამ ადამიანის დამსახურება. დიდი გაქანების პიროვნება იყო. ენების ცოდნა საშუალებას აძლევდა, რომ ევროპულ სივრცეში გასულიყო და იქ საკმაოდ ცნობადი სახე გამხდარიყო, მაგრამ შემდგომ ისე წარიმართა მისი პირადი ხვედრი, რომ ის დაუბრუნდა მშობლიურ ქვიშხეთს.



არაჩვეულებრივი მოგონებები დაგვიტოვა მისმა ქალიშვილმა სწორედ მისი დაბრუნებისა და დედის გარდაცვალების შესახებ, რომელიც ჩემთვის ძალიან საინტერესო და ამაღელვებელი წასაკითხია. ეს გვავალდებულებს, რომ კიდევ უფრო მეტად დავაფასოთ ყიფიანები და ქალბატონი ნინოს ხსოვნა დიდხანს შევინახოთ“.



„ეს ამბავი დღევანდელი დღის მშვენება და სილამაზეა, — აღნიშნა დიმიტრი ყიფიანის შთამომავალმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, მწერალმა **თამარ მიქაძემ,** — ძალიან გამიხარდა, როდესაც მის შთამომავალს თამარ ბაგრატიონს (ჯოიას) მივაკვლიეთ და ვესაუბრეთ, 85 წლის ქალბატონი ლოზანაში ცხოვრობდა, პირველი, რაც თქვა: მინდა ჩამოვიდე, იქნებ ვნახო დედის საფლავიო. ყველაფერი ახსოვდა, მაგრამ მალევე გარდაიცვალა და ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

შემოდგომისთვის ვამზადებთ საოჯახო არქივს, სადაც ძალიან ბევრ საინტერესო წერილს გაეცნობა საზოგადოება, თუნდაც ნინო ყიფიანისა და კიტა აბაშიძის მიმოწერას. მას ურთიერთობა ჰქონდა იმ პერიოდის ყველა საინტერესო და მნიშვნელოვან პიროვნებასთან. ეს არის დიდი ფიგურა და, სამწუხაროდ, საქართველო სათანადოდ არ იცნობს. იმედია, ეს დღე ამის დასაბამი იქნება...

და კიდევ, მოხარული ვარ, რომ განახლდა ტრადიცია — ყოველ წელს დიმიტროობას აღნიშნავენ, შთამომავლები კმაყოფილნი დავრჩით, რომ დიმიტრის შვილიშვილს — პოლიტიკურ მოღვაწეს ნინო ყიფიანს გაუკეთდა საფლავი ყიფიანების კარის ეკლესიის ეზოში“...

ეკლესიის აღდგენისა და საფლავის აღმოჩენის ისტორია სწორედ დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ყოფილი გამგის **გივი გელაშვილის** სახელს უკავშირდება.

სამშობლოში დაბრუნებული ნინო ყიფიანი 1920 წელს მამაპაპეულ სახლში გარდაცვლილა და კარის ეკლესიაში დაუსაფლავებიათ. ამ ეკლესიის ბაზილიკა ფეოდალურ ხანას განეკუთვნება. იგი 1869 წელს განუახლებია დიმიტრი ყიფიანს, არქიტექტორი ბელი მოუწვევია და ეგზარქოს ევსევის ნებართვა აუღია.

ეკლესიის ბოლო მღვდელი ნიკოლოზ მთივლიშვილი ყოფილა. ამის შემდეგ ბოლშევიკური რეჟიმი დაიწყო და ეკლესია გააუქმეს. საწყობად გადააქციეს, სადაც თივას ინახვდნენ, შემდეგ გენერატორი დადგეს... ნინოს საფლავიც იმ პერიოდში დაკარგულა...

გივი გელაშვილის თქმით, ეკლესია სავალალოდ გამოიყურებოდა, თალი ჩამონგრული იყო. დაიწყეს მისი აღდგენა. მერე იტალიაში საქართველოს მაშინდელმა ელჩმა, რომელიც ქვიშხეთელია, ბეგი თავართქილაძემ გამონახა სახსრები ეკლესიის ასამოქმედებლად. 1994 წელს კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ტაძარი აკურთხა და ამოქმედდა.

„ეკლესიის აღდგენის შემდეგ მივაგენი ნიკოლოზ ბარათაშვილის დის — სოფიოს საფლავს. დამაინტერესა, იქ კიდევ ვინ იყვნენ დაკრძალულნი. სხვა უწარწერო ქვებიც ვნახე...

ხოლო როდესაც ქვიშხეთში მიწის ნაკვეთი შეიძინა დიმიტრი ყიფიანის მოურავის — ლევან ყიფიანის (ვინც ჩამოასვენა სტავროპოლიდან დიმიტრი ყიფიანი) ქალიშვილმა — მარიამმა, მან მითხრა, რომ ნუცა ყიფიანი აქ იყო დაკრძალული და საფლავიც მანახა. ამის შემდეგ ხაშურის რაიონის მესვეურთა თანადგომით საფლავი განახლდა“.

საფლავის მონახულების შემდეგ სტუმრებმა და ღონისძიების მესვეურებმა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ეზოში გადაინაცვლეს, სიტყვით გამოვიდნენ: დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის მენეჯერი **რევაზ ნოზაძე,** დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ფონდების მცველი **კლარა გელაშვილი,** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურამ ყორანაშვილი,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ვაჟა შუბითიძე,** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი **ავთო სულაბერიძე,** თეატრისა და კინოს მუზეუმის დირექტორის მოადგილე **გუბაზ მეგრელიძე**.

დიმიტრი ყიფიანის პირდაპირ შთამომავალს, მეექვსე თაობის წარმომადგენელს, ქალბატონ **თამარ მიქაძეს** გადაეცა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედალი — დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. თამარ მიქაძეს მედალი გადასცა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **გიორგი ბერაიამ**.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: დიმიტრი ყიფიანის სახელობის ქვიშხეთის საჯარო სკოლისა და ამავე სახელობის ხაშურის სკოლა-პანსიონის მოსწავლეები, ასევე — ქვიშხეთის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „მთაწმინდა“, ხელმძღვანელი ალექსანდრე (ალიკა) ტაბატაძე, ქვიშხეთის კულტურის სახლის ვაჟთა გუნდი, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის გოგონათა გუნდი.

**თამარ მიქაძემ** მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი დახვედრისათვის: „დიდი მადლობა რაიონს, ჩემს საყვარელ ქვიშხეთს... ჩვენი სიყვარული ექვს თაობას ითვლის, მომავალშიც, ყველა დადებით წამოწყებაში მივიღებთ მონაწილეობას, რაც დაკავშირებულია წმინდა დიმიტრის სახელთან“, — დაასრულა მან.

დაბოლოს, ამ შთამბეჭდავ დღეს ყველას აწუხებდა ის სამწუხარო რეალობა, რომელშიც დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმია — იგი აღდგენასა და განახლებას საჭიროებს, მაგრამ დღემდე საამისოდ არავინ იზრუნა. ქვიშხეთელები დიდ იმედს ამყარებენ ახალ ხელისუფლებაზე და ამბობენ, რომ ახალი ხელისუფლება დაინტერესებულია მუზეუმის რესტავრაციით. რამდენიმე დღეში საპატრიარქოში გაიმართება დიმიტრი ყიფიანის ფონდის წარდგინება. ამ მიზნით მუზეუმში ჩამოსული იყო საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელი თორნიკე კვინიკაძე. მან მუზეუმის პრობლემები გააშუქა. სავარაუდოდ ფონდის ხელმძღვანელიც ის იქნება.

იქნებ ახლა მაინც დაიწყოს მუზეუმის ახალი სიცოცხლე. დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის სავალალო ყოფა არც ერთ ჩვენგანს არ ეკადრება.

**თამარ შაიშმელაშვილი,**
**თბილისი-ქვიშხეთი-თბილისი.**

**სურათებზე: დიმიტრი ყიფიანის მედლის მფლობელი თამარ მიქაძე; ასე გამოიყურება დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი.**
**ავტორის ფოტო.**

---

### მაგთიკომი - უწყვეტი კავშირი და უწყვეტი ზრუნვა აბონენტებზე

# როზერტ სტურუა: „მაგთის“ სურვილი — გახდეს ჩვენი „პლატინუმ“ სპონსორი — ძალიან სასიამოვნოა ჩვენთვის“...



**მაგთიკომმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ზრუნავს საკუთარ აბონენტებზე და მათ სასიამოვნო საჩუქარი გაუკეთა. აღსანიშნავია, რომ ბილეთების რაოდენობა მომხმარებლისთვის შეზღუდული არ არის. ფასდაკლების მიღებაც უმარტივესი ოპერაციითაა შესაძლებელი: სასურველი სპექტაკლის დღეს, მაგთიკომის (მობილური ქსელის) აბონენტმა უნდა გააგზავნოს ესემესი ნომერზე 5005; მას დაუბრუნდება უნიკალური კოდი, რომლის სალაროში წარდგენისას იგი მიიღებს 50%-იან ფასდაკლებას. ყოველ ბილეთს საკუთარი კოდი სჭირდება. ესემესის გაგზავნის ღირებულება კი სტანდარტულია და მხოლოდ 6 თეთრს შეადგენს.**

ეს წესი ყველა სპექტაკლსა და ნებისმიერი კატეგორიის ბილეთზე ვრცელდება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ პრემიერის დღე.

რუსთაველის თეატრსა და მაგთიკომს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ორიოდ დღის წინათ, რუსთაველის თეატრის სამეჯლისო დარბაზში, სტუმართა ვიწრო წრეში რუსთაველის თეატრის მმართველმა რობერტ სტურუამ და მაგთიკომის პრეზიდენტმა დევიდ ლიმ ოფიციალურად მოაწერეს ხელი მემორანდუმზე. **ამიერიდან „მაგთი“ რუსთაველის თეატრის „პლატინუმ“ სპონსორად გამოცხადდა.**

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

მემორანდუმის ფარგლებში მაგთიკომის აბონენტებს შანსი აქვთ, ნებისმიერ სპექტაკლზე (გარდა პრემიერისა), ნებისმიერი ბილეთი (პარტერსა თუ ლოჟაში) 50%-იანი ფასდაკლებით შეიძინონ. ეს უდავოდ დიდი საჩუქარია მაგთის აბონენტებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის თეატრში მისაზიდად და დაუფასებელი იმ თეატრის მოყვარულთათვის, რომლებიც ამა თუ იმ სპექტაკლს ბილეთის ღირებულების გამო ვერ ნახულობდნენ.

**რობერტ სტურუა:** ჩვენ გავაფორმეთ თანამშრომლობის მემორანდუმი. თუმცა აქამდეც „მაგთის“ პარტნიორები ვიყავით — კორპორატიული ტელეფონით ვსარგებლობდით, რაც ძალიან კარგი კომუნიკაციის საშუალება იყო ჩვენი დასისთვის.

თეატრებს უჭირთ მთელ მსოფლიოში, არათუ საქართველოში. მართალია, ჩვენი თეატრი ნაციონალურია და მას სახელმწიფო ეხმარება, მაგრამ თანხები მიზერულია. დეკორაციების აშენება, კოსტიუმების შეკერვა თუ ტექნიკური დეტალები დიდ ფინანსებს მოითხოვს... ამ საქმეში დახმარება აღგვითქვა „მაგთიმ“. ამდენად, „მაგთის სურვილი“ — გახდეს ჩვენი „პლატინუმ“ სპონსორი ძალიან სასიამოვნოა ჩვენთვის და იმედია, დიდხანს გაგრძელდება ჩვენი თანამშრომლობა. ჩვენც, ჩვენი მხრიდან, შევეცდებით, კარგი პარტნიორები ვიყოთ და მოვახდინოთ მაგთის რეკლამირება (ღიმილით ამატებს: რასაც ისედაც მშვენივრად ახერხებენ)

**დევიდ ლი:** — დიდი ხანია საქართველოში ვცხოვრობ, და ამდენად, კარგად ვიცნობ ქართულ კულტურას, მუსიკას, თეატრს, კინოს. რუსთაველის თეატრი მთელ მსოფლიოში არის ცნობილი, ამდენად ბედნიერი ვარ, რომ პარტნიორები გავხდით.

**თათული ღვინიაშვილი, მაგთის პიარმენეჯერი:** ჩვენი აბონენტებისთვის, მართლაც რომ, კარგი საჩუქარია ყველა სპექტაკლზე 50-პროცენტიანი ფასდაკლება, რომელიც ამ მემორანდუმის ფარგლებში მოხდება. მაგთის აბონენტი გაგზავნის სმს — 50-05-ზე, მიიღებს ერთჯერად კოდს, რომლის დახმარებითაც ყიდულობს ბილეთს ნახევარ ფასად. ეს ფაქტი ქართული თეატრის მოყვარულებისთვის ნამდვილად სასიამოვნო იქნება. თუმცა, პარტნიორობა მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლება და თუკი სხვა საჭიროებები გამოიკვეთა, მაგთი აუცილებლად ხელს შეუწყობს რუსთაველის თეატრს.“

მსახიობები იმედოვნებენ, რომ მათი სპექტაკლები უფრო უკეთესი გახდება, რადგან — თითოეულ სპექტაკლს განსახორციელებლად ძალიან ბევრი რამ სჭირდება, რაც გარდა შემოქმედებითი კოლექტივის უნარისა, სერიოზულ დანახარჯებსაც უკავშირდება.

**ნინო არსენიშვილი, მსახიობი:** „ძალიან სასიამოვნოა, რომ მემორანდუმი ასეთ სერიოზულ კომპანიასთან დაიდო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ „მაგთი“ ყველანაირად ხელს შეგვიწყობს, რომ შეიქმნას უფრო მაღალმხატვრული სპექტაკლები. არ იქნება დეკორაციის, კოსტიუმის და ა.შ პრობლემა. სასურველი ხარისხის მიღებით, რეჟისორების ხელშეწყობით, ჩანაფიქრის სრულფასოვნად განხორციელებას შევძლებთ და დადგმების ხარისხიც კიდევ უფრო ამაღლდება“.

**ჟანრი ლოლაშვილი, მსახიობი:** არაჩვეულებრივი ამბავია. ასეთ დიდ საქმეში თანამშრომლობა თეატრსაც წაადგება და ალბათ, „მაგთისაც“. კიდევ სხვა პროექტები გვაქვს, რომელთა ხელშეწყობასაც „მაგთი“ დაგვპირდა. მაყურებელთა რაოდენობას ჩვენი თეატრი არ უჩივის, მაგრამ, ალბათ, მაინც გაიზრდება მაყურებელთა რაოდენობა, ვინაიდან ნახევარ ფასში სპექტაკლის ნახვა დიდი შეღავათია. ეს მართლაც შეუწყობს ხელს მაყურებლის მოზიდვას. დაველოდოთ მოვლენებს.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# გამოჩენილი მეცნიერი,

## მინდია სალუქვაძე – 80



აკადემიკოს მინდია სალუქვაძეს

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო გილოცავთ თქვენ, გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ორგზის და მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატს დაბადების 80 და სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წლისთავს.**

თქვენ ბრძანდებით 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 12 მონოგრაფიისა და 5 სახელმძღვანელოს ავტორი, ვექტორული ოპტიმიზაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი ავტომატიკის, მართვის სისტემების მდგრადობისა და ოპტიმალური მართვის სისტემების თეორიის დარგში. თქვენი უმნიშვნელოვანესი შრომები, რომლებიც ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა გარანტიათა ოპტიმიზაცია მართვის მრავალკრიტერიულ ამოცანებში, ვექტორული მინი-მაქსი, დუალობა არასკალარული ოპტიმიზაციის ამოცანებში, მართვის მრავალკრიტერიული ამოცანები განუზღვრელობის პირობებში და მრავალი სხვა, ცნობილია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ და გამოქვეყნებულია მსოფლიოს ყველაზე რეიტინგულ, სამეცნიერო ჟურნალებში. აღსანიშნავია, რომ ორი მონოგრაფია გამოცემულია ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომცემლობა „Academic Press"-ის მიერ. მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინები „სალუქვაძის პრინციპი" „სალუქვაძის ამოხსნა", „სალუქვაძის მეთოდი".

მნიშვნელოვანია თქვენი დამსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში; როგორც მართვისა და ავტომატიზაციის კათედრის პროფესორი, უკვე მრავალი წელია წარმატებით მოღვაწეობთ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. თქვენი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე ათეული სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

წლების მანძილზე ხელმძღვანელობდით არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტს, დღეს კი მისი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ბრძანდებით. თქვენი თაოსნობით ინსტიტუტში ტარდებოდა და ტარდება მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო სამუშაო.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, პოლონეთსა და იაპონიაში კითხულობდით ლექციებს ოპტიმალური მართვის მნიშვნელოვან პრობლემებზე; გამოდიოდით მოხსენებებით არაერთ საერთაშორისო კონფერენციასა და კონგრესზე.

აღსანიშნავია თქვენი ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობა, ბრძანდებით საერთაშორისო ჟურნალ „Information Technology and Decision Making"-ის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბის" სარედაქციო კოლეგიის წევრი, არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა ყოველწლიური კრებულის „მართვის თეორია, მართვის სისტემები, ინფორმატიკა" რედაქტორი.

თქვენი დიდი ღვაწლი ქართული მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში აღინიშნა ღირსების ორდენით, საქართველოს სახელმწიფო პრემიით მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1979, 2004 წწ.), ხოლო 1998 წელს მოგენიჭათ მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია.

ბატონო მინდია, გასული საუკუნის 90-იან წლებში ბრძანდებოდით საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი და ხელი გაქვთ მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე. დაუვიწყარია თქვენი ისტორიული სიტყვა პარლამენტის სხდომაზე, დეპუტატის მანდატზე უარის თქმა და პრეზიდენტისათვის მიცემული თქვენი პირდაპირი რჩევები.

ძვირფასო ბატონო მინდია, კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ მნიშვნელოვან თარიღს და გვჯერა, რომ თქვენ, ჩვენი ქვეყნის სასიქადულო მამულიშვილი, კვლავაც ჩვეული ენერგიით განახორციელებთ ბევრ სასიკეთო საქმეს სამშობლოს, ხალხისა და მეცნიერების საკეთილდღეოდ.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# სალუქვაძის მეთოდი... სალუქვაძის ამოხსნა...

## მეცხრე ათეულის დასაწყისის გადასახედიდან

**ჩვენი სახელოვანი აკადემიკოსების ერთ ჯგუფს ოთხმოცწლოვანება დაუდგათ, ვწერდი ამას წინათ „სრ"-ის ფურცლებზე (მომიტევოს მკითხველმა „ავტოციტირება"). ერთი მათგანი გახლავთ მინდია სალუქვაძე, მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტი მართვის პროცესებისა, თვალსაჩინო მოღვაწე პედაგოგიურ, სახელმწიფო თუ საზოგადო სარბიელზე. ასეთ კაცთან მხვდა ხანგრძლივი ნაცნობობა-ამხანაგობის პატივი, ოღონდ ამით ვერ დავიკვეხნი, რამდენადაც ბევრზე ბევრია მისგან სიკეთით ჩემებრ „დასხივებული".**

**მრავალმხრივ გამორჩეული აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე უნიკალური ცხოვრებისეული ბიოგრაფიის მქონეც ბრძანდება. მთელი ჩემი წერილი მე-9 ათეულში გადაბიჯებულ იუბილართან ვრცელი, დაწვრილებითი დიალოგის გადმოცემაა, ლამის მისი ყველა ათეულის მომცველი, რა მიზეზითაც საგანგებო შესავალი, ასე ვთქვათ „ინფორმაცია მკითხველთან გაცნობისათვის" არ დამჭირვებია. ჩემთვის არსებითი ის იყო, რომ ასეთი საგულდაგულო საუბარი თვით ძვირფასმა რესპონდენტმა მოიწადინა... ბოლოს და ბოლოს, მარტო 19 კი არა, 80 წელიც ერთხელ არის ცხოვრებაში, გულახდილობისათვის, უკან მოხედვისათვის, მოგონებებისათვის განგაწყობს და ფართო სამზერსაც გადაგიშლის...**

**— მინდია, რვა ათეული წელი 3 მაისს შეგისრულდება?**

— სინამდვილეში 6 მარტს გავხდი ოთხმოცისა, თუმცა თითქმის ორი თვით გვიან ვარ რეგისტრირებული, 3 მაისს.

**— ეგ როგორ მოხდა?**

— როცა დავბადებულვარ და შინ მივუყვანივართ, ოჯახში მიცვალებული იყო, ჩემი უმცროსი მამიდა — ქსენია სალუქვაძე, ახალგაზრდა რომ აღესრულა, სულ 29 წლისა. ჩემთვის იმხანად არავის არ ეცალა, მთელი დღეები თურმე მეზობლებთან „ვიზრდებოდი", განსაკუთრებით ოსური წარმოშობის ქალბატონთან, კატუშა კულუმბეგოვასთან. განსვენებული მამიდას 40 რომ გასულა და გადაუხდიათ, მერე პირველი და 2 მაისიც რომ გაუსტუმრებიათ, მამაჩემი წასულა მმაჩში და ჩემი ქვეყნად მოვლენა გაუფორმებია. მაშინ დაბადების მოწმობაში რეგისტრაციაში გატარების თარიღი ჩაინიშნებოდა, ასე რომ, ყველა დოკუმენტში 1933 წლის 3 მაისი მიწერია.

**— 6 მარტია თუ 3 მაისი, გილოცავ ამ ღირსშესანიშნავ საიუბილეო თარიღს, საგულისხმო ნიშანსვეტს შენი ცხოვრების გზაზე... როგორ წარიმართა შემდგომი ბიოგრაფია, გვიამბე მშობლებზე, ბავშვობაზე, სკოლის წლებზე... რამდენადაც მსმენია, თქვენმა ოჯახმაც გაიზიარა 1930-იან წლებში ბევრის ტრაგიკული ხვედრი, სიმწარე ადრეულ ასაკში გამოსცადე...**

— ვიზრდებოდით ორი ძმა მშობლებთან ერთად — მამა უჩა სალუქვაძე, დედა მანონა ცინცაძე. 1933 წლის სექტემბერში, 6 თვისა რომ შევიქენი, მამაჩემი დაატუსაღეს, 8 წელი მიუსაჯეს და ციმბირში გადაასახლეს; როგორც ჩემთვის ცნობილია, მგონი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. 1937 წლის იანვარში დედა წავიდა მამის სანახავად, მე და 6 წლით უფროსი ძმა ელგუჯა, მამიდასთან დაგვტოვა. უკან დაბრუნებისთანავე ოქტომბერში დააპატიმრეს და 3 დღეში დახვრიტეს ე.წ. სამეულის გადაწყვეტილებით, 30 წლის ახალგაზრდა ქალი, ერთადერთი ბრალდებით: ტროცკისტი ქმრის მეუღლეობა (მოგეხსენებათ, მაშინ ყოველ ოპოზიციონერს ასე უწოდებდნენ).

ამის შემდეგ მამიდაჩემთან ვიზრებოდით.



ვერცხლის ქორწილი 27.06.1986წ.

ქვრივი გახლდათ ელეონორა სალუქვაძე-კალანდარიშვილისა, ორი გოგონას დედა. ოთხ ბავშვს გვპატრონობდა, მე ყველაზე უმცროსი ვიყავი...

**— ნამდვილი გმირი მამიდა გყოლია, აფერუმ მის ქალობას...**

— ჩემში თუკი რამე არსებობს ადამიანური და სასიკეთო, მამიდასგან მოდის ყველაფერი, ამ უკეთილშობილესი ქალბატონისგან, რომლის ხსოვნა ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია. უკვე ზრდასრულ ასაკში ჩვენ, ფაქტობრივად ოთხმა შვილმა, 1975 წელს გადავუხადეთ 75 წლის იუბილე, რამაც ძალიან ააღელვა და გაახარა. ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა და როგორც გვიანდერძა, კვირიკეთში დავკრძალეთ, მეუღლის გვერდით. მის საფლავზე ხშირად მივდივარ და პატივს მივაგებ.

**— სკოლის წლებზეც უნდა გეამბნა... ერთი ლექსი მაგონდება — „ძალიან ხშირად სკოლის ხანა მიდგება თვალწინ, ყველაზე ლამაზ გაზაფხულთან დასადარები"...**

— მეც ეგრე ვარ... რა დამავიწყებს ჩემს აღმზრდელ პედაგოგებს თბილისის ვაჟთა 37-ე საშუალო სკოლიდან: დაწყებით კლასებში ტატიანა ხუნდაძეს, შემდგომ პერიოდში რევაზ საყვარელიძეს (ფიზიკა), იოსებ ჭარელიშვილს (ქართული ენა და ლიტერატურა), თინათინ მრევლიშვილს (რუსული ენა), მარიამ ჭანტურიშვილს (ქიმია), გრიგოლ სიმონიას (მათემატიკა), დირექტორს ნიკოლოზ (კოლია) სიჭინავას, სხვებსაც...

**— ამასობაში შენს ბიოგრაფიაში ახალ პერიოდს მივადექით — უმაღლესი სკოლისა და შემდგომს...**

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტი რომ დავამთავრე, მომცეს განაწილების ბარათი სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში სამუშაოდ. გავემგზავრე, მაგრამ იქ, ჩემდა საწყენად, მიღებაზე უარი მითხრეს ანკეტური მონაცემების მიზეზით. ეტყობა, უნივერსიტეტში ეს მომენტი გამორჩათ და ისე გამანაწილეს...

დავბრუნდი თბილისში და ფიზიკის მასწავლებლად დავიწყე მუშაობა ვაჟთა 55-ე სკოლაში, რაშიც დამეხმარა ჩემი ყოფილი ლექტორი გიორგი (ჟორა) გამცემლიძე. იქ წელიწადნახევარი დავყავი, ბევრი კარგი ახალგაზრდა აღვზარდე, რომელთაგან არაერთი სასიქადულო მამულიშვილი დადგა. მათ შორისაა გვაჩი ჯალაღონია, ჯუმბერ პატიაშვილი, ძმები ალეკო და ზურაბ ჩხეიძეები, რამაზ გოგლიძე, რომა ბაქრაძე, რამაზ კლიმიაშვილი და სხვანი.

მაგრამ პედაგოგობა არ მაკმაყოფილებდა და ფიზიკის ინსტიტუტში მსურდა მუშაობა, რასაც ყველა მირჩევდა, ნაცნობი თუ უცნობი; როგორლაც დირექტორთან, ელეფთერ ანდრონიკაშვილთან მოვხვდი მიღებაზე. ჩემს განათლებაზე გამომკითხა, სხვა შეკითხვები არ მოუცია და ერთ თვეში დამპირდა ინსტიტუტის თანამშრომლად გაფორმებას — შტატები მოგვივაო.

როგორც ჩანს, მერე გაიგო, როგორი ოჯახიდანაც ვიყავი; ის ერთი თვე რომ გავიდა, მივაკითხე და მდივანი რაკი არ იყო, კაბინეტის კარი შევუღე, მივესალმე ბატონ ელეფთერს და ჩვენი საუბარი შევახსენე ერთი თვის შემდეგ მისვლის თაობაზე, მაგრამ ცივი უარი მივიღე...

რამდენიმე დღეში ბატონ ნიკო მუსხელიშვილთან გადავწყვიტე მისვლა მიღებაზე. 24 წლის ბიჭს დამხვდა კართან, შემიპატიჟა, მაგიდასაკენ მიმითითა, გამომყვა და დაბრძანდიო, შემომთავაზა. მომიყევი შენს შესახებო. ვუამბე სოხუმზე (ბატონი ელეფთერი არ მიხსენებია), თუ როგორ და რატომ არ ამიყვანეს სამსახურში და როგორ მინდა კვლევითი საქმიანობისათვის ხელის მოკიდება; მაშინვე დაურეკა გოგი მანჯავიძეს და უთხრა — შტატები რომ გამოგვიჩნდება, ეს ახალგაზრდა ჩარიცხეთ გამოთვლით ცენტრშიო; ადგა, კარამდე გამომაცილა, გამილო და დამემშვიდობა.

შტატებს გამოთვლით ცენტრში დააგვიანდა, სამაგიეროდ აღმოჩნდა 1956 წლის ბოლოს გახსნილ ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში (ამჟამად მართვის სისტემების ინსტიტუტი). 1957 წლის აპრილია, მირეკავს ბატონი გოგი და მეუბნება — ჩვენთან გვიანდება, იქნებ მიხვიდეთ ელიაშვილთან, მე დავურეკავ ბატონ არჩილს, თუ მოგეწონებათ, დარჩით, თუ არა და — დაგველოდეთო.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# სასიქადულო მამულიშვილი!

მოვედი ელექტრონიკის ინსტიტუტში დირექტორთან, ბატონ არჩილ ელიაშვილთან. იმანაც ყველაფერი მომაყოლა, გავუმხილე, თუ როგორ მინდოდა მეცნიერებაში მომუშავე ვყოფილიყავი. მშობლების დახვრეტა რომ გაიგო, აღარც არაფერი უკითხავს – Немедленно пишите заявление-ო, მითხრა.

ასე გავხდი 17 აპრილიდან ამ ინსტიტუტის რიგით მე-16 თანამშრომელი, ინსტიტუტისა, სადაც თურმე მელოდა ყველა საფეხურის გავლა: უმცროსი მეცნიერი მუშაკი, უფროსი მეცნიერი მუშაკი, ლაბორატორიის გამგე, 10 წლის მანძილზე დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, 25 წელი დირექტორი. ამ ბოლო თანამდებობიდან, სხვა 55 ინსტიტუტის დირექტორებთან ერთად, ზურაბ ნოღაიდელის ერთი ხელმოწერით, ასაკის გამო ყველა გაგვანთავისუფლეს. ამჟამად გახლავართ მართვის სისტემების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე...

თუმცა მივუბრუნდეთ 1950-იან წლებს. ბატონმა არჩილმა, ჩვენმა დირექტორმა, 8 ახალი თანამშრომელი გაგვაგზავნა მოსკოვში, სტაჟირებაზე. მე მოვხვდი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში (დღეს მართვის პრობლემების ინსტიტუტი) აკადემიკოს ალექსანდრე ლიოტოვთან.

ჩემი ამბები როცა შეიტყო, მერე სულ მამასავით მეპყრობოდა, თავად უპარტიო იყო, ანტისაბჭოური განწყობით. პირველი მეცნიერული შრომა მისი ხელმძღვანელობით მოვამზადე, მისივე ხელმძღვანელობით დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია იქვე, 1963 წელს; 10 წლის მერე, ლიოტოვის კონსულტაციებით, მოსკოვშივე დავიცავი სადოქტორო დისერტაციაც.

საერთოდ, ათწლიანობა დაბედებული მაქვს: 1983 წელში, სადოქტოროს დაცვიდან ათ წელიწადში, გავხდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1993 წელს – აკადემიკოსი.

აქვე ვიტყვი: ჩემს დაუვიწყარ მასწავლებელს, აკადემიკოს ალექსანდრე ლიოტოვს 2011 წელს დაბადებიდან 100 წლისთავი შეუსრულდა. მის ხსოვნას მივუძღვენით მე და ჩემმა კოლეგამ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელმა წევრმა ვლადისლავ ჟუკოვსკიმ ერთობლივი მონოგრაფია – „Многошаговые позиционные конфликты и их приложения“.

**– მინდია, დისერტაციები ახსენე, საკანდიდატოც, სადოქტოროც. შენი მეცნიერული შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი ალბათ, მათშია, ასახული...**

– მოსკოვში, ასპირანტურაში ყოფნისას, დავიწყე ოპტიმალური მართვის თეორიის საკითხების შესწავლა, რისი „ბუმიც“ იყო მაშინ. ალექსანდრე ლიოტოვის ხელმძღვანელობით მივიღე გარკვეული შედეგები ავტომატური მართვის სისტემების ანალიზური კონსტრუირების პრობლემატიკაში. მოსკოვშივე გამოვაქვეყნე 5 თუ 6 სტატია – „ავტომატიკისა და ტელემექანიკის ჟურნალში“, რომელთა საფუძველზე დავიცავი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

თბილისში დაბრუნებულმა უკვე სადოქტოროზე დავიწყე ფიქრი. ოპტიმალური მართვის თეორიაში მთავარია სისტემის მოქმედების ერთი რომელიმე კრიტერიუმის არსებობა. სისტემა როდესაც იმ ერთი კრიტერიუმის მიხედვით პროექტირდება, რომელიც ან მინიმუმი უნდა იყოს, ან მაქსიმუმი ამოცანის ბუნებიდან გამომდინარე, მაშინ სისტემის ფუნქციონირების შეფასების სხვა მაჩვენებლები შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს. მარტივ მაგალითს მოვიყვან: მფრინავი ობიექტი სივრცის ერთი წერტილიდან მეორეში უნდა გადაადგილდეს. საჭიროა გადაადგილებისათვის საუკეთესო მართვის სისტემის შემუშავება, ვთქვათ, საწვავის ხარჯვის თვალსაზრისით. ამას აუცილებლად მოუწევს დიდი დრო, რაც ტექნიკურ სისტემებში მიუღებელია. ესე იგი, უნდა შეიქმნას ისეთი მართვის სისტემა, რომლის პირობებშიც ობიექტი მინიმალურ დროში მინიმალური საწვავის ხარჯვით გადაადგილდება, ეს კი ეწინააღმდეგება მართვის სისტემის პროექტირებას. გამოჩნდა ორი კრიტერიუმი, თუმცა, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს ორზე მეტიც და თან სხვადასხვა ხასიათისა.

ცოტა მოსარიდებელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის მასშტაბით მე პირველმა დავსვი მრავალკრიტერიული ოპტიმიზაციის ამოცანა, რომელიც, გარდა ტექნიკური დარგებისა, სხვა სფეროებსაც ესადაგება: ეკონომიკა, ეკოლოგია, მედიცინა...

**– საბჭოთა კავშირში პირველმა კი, მაგრამ საზღვარგარეთ როგორი იყო სურათი ამ მხრივ?**

– იქაც თითქმის არაფერი არ იყო ამის თაობაზე თქმული, თუ ერთი-ორ მინიშნებას გამოვრიცხავთ. ამრიგად, დავსვი პრობლემა და კიდევაც გადავწყვიტე. შთამბეჭდავი შედეგი გამოვიდა, სადოქტორო დისერტაციასაც „ეყო“ და აკადემიაში ჩემს არჩევასაც ჯერ წევრ-კორესპონდენტად, მერე აკადემიკოსად.

**– მსმენია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გაჩნდა ცნება „სალუქვაძის ამოხსნა“...**

– ასე ამერიკელებმა უწოდეს ჩემგან დასმული ახალი ამოცანის გადაწყვეტას. ტერმინი ფართოდ გავრცელდა როგორც მათ სამეცნიერო გამოკვლევებში, ისე ევროპელთა. გამოჩენილ უცხოელ სპეციალისტთა ზოგიერთ სტატიაში (ასეთი 15-მდეა) სათაურშიც კია გამოტანილი.

მრავალკრიტერიული მართვის ოპტიმიზაციის ამოცანები ისეთი ბარაქიანი გამოდგა, რომ დღემდე ვაგრძელებ მათ განვითარებას. ამ თემატიკაში გამოქვეყნებული მაქვს 15 მონოგრაფია, რომელთაგან 2 დაიბეჭდა აშშ-ში, ცნობილ გამომცემლობა „აკადემიკ-პრესში“, ხუთიც სახელმძღვანელო.



ჩოხოსანთა საზოგადოების ყრილობაზე 2006წ.

**– შტატებში, ალბათ, ინგლისურად?**

– კი და, საერთოდ, ნაშრომებს ძირითადად ვაქვეყნებდი და ვაქვეყნებ რუსულ და ინგლისურ ენებზე (გასაგებია, რომ ასე მეტი მკითხველი ეყოლება), ხოლო სახელმძღვანელოებს მხოლოდ ქართულად.

სულ 160-ზე მეტი სამეცნიერო სტატია მექნება დასტამბული. ზედაპირული თავმდაბლობის გარეშე უნდა ვთქვა, რომ ჩემი აზრით, ღირსეული წვლილი შევიტანე მეცნიერების განვითარებაში. მარტო ის რად ღირს, რომ ცნებები – „სალუქვაძის მეთოდი“, „სალუქვაძის ამოხსნა“ მტკიცედ დამკვიდრდა სპეციალურ ლიტერატურაში და დღემდე იხმარება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ევროპის ქვეყნებში, აშშ-ში.

**– რასაკვირველია, მეცნიერის უკვდავება ისიცაა, როცა მის სახელთან „მიბმული“ თუნდაც ერთი ტერმინი შემორჩება ამა თუ იმ დარგს... საზღვარგარეთის ხსენებაზე – იქაურ მეცნიერებთან ურთიერთობებზე რას იტყოდი?**

– ნორმალური, ნამდვილად ურთიერთპატივისმცემლური დამოკიდებულება გვაქვს. ხშირად ვყოფილვარ მათი მასპინძელი, სტუმრობამაც ბევრჯერ მომიწია. არაერთ ქვეყანაში მქონია ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებები: აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, იქეთა და აქეთა გერმანიაში, ესპანეთში, ავსტრიაში, იტალიაში, ჩინეთში, იაპონიაში, ჰოლანდიაში, ტაივანზე, მექსიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, თურქეთში, პოლონეთში. აღარაფერს ვამბობ რუსეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებზე... მრავალ ფორუმში – სამეცნიერო ყრილობების, მსოფლიო კონგრესებისა თუ საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში მიმიღია მონაწილეობა, მოხსენებებით გამოვსულვარ, კამათისაც არ შემშინებია.

**– მინდია, მეცნიერებაზე რომ მოვამთავროთ ლაპარაკი – შენი ჯილდოების, შენი მოწაფეების შესახებ, შენი სარედაქციო საქმიანობა...**

– მომენიჭა სახელმწიფო პრემია თბილისში 1979 წელს რუსულ ენაზე გამოსული მონოგრაფიისათვის – „Задачи векторной оптимизации в теории управления“, რომელიც მერე ამერიკელებმა თარგმნეს და ინგლისურად გამოსცეს; მეორე სახელმწიფო პრემია მივიღე ორ თანაავტორთან (ალმასხან გუგუშვილი, ვახტანგ ჭიჭინაძე) ერთად სამტომიანი (1000 გვერდი) სახელმძღვანელოსათვის – „ოპტიმალური და ადაპტური სისტემები“ (2004). 1997 წელს გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია ხვდა ვ.ჟუკოვსკისთან ერთობლივ მონოგრაფიას – „გარანტიათა ოპტიმიზაცია მართვის მრავალკრიტერიულ ამოცანებში“.

მოწაფეებს რაც შეეხება, ჩემი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულია 18 საკანდიდატო და 7 სადოქტორო დისერტაცია.

30 წელია, რაც არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულის მთავარი რედაქტორი ვარ; აგრეთვე ვარ აშშ-ში გამომავალი საერთაშორისო ჟურნალის – „Information Technology and Decision Making“ სარედაქციო კოლეგიის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი; წლების განმავლობაში გახლდით ჟურნალ „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მთავარი რედაქტორი, ახლა რედაქციის წევრი ვარ.

ვარ არაერთი დარგობრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

**– მოდი ახლა შენს სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობასაც შევეხოთ. მე პირადად ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში შენი გაბედული საჯარო ნათქვამი ზვიად გამსახურდიას მისამართით, როცა უზენაესი საბჭოდან კომუნისტების ფრაქცია განდევნეს, მერედა რა ხალხი – აკადემიკოსები – ევგენი ხარაძე, შენ, ნინო ჯავახიშვილი, გურამ ხარატიშვილი, ნოდარ ამაღლობელი, რევაზ სალუქვაძე, ხელოვნებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები... არადა, ყველა თქვენგანს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე გაქვთ ხელი მოწერილი.**

– ეგ მოხდა პარლამენტის იმ სხდომაზე, საიდანც 60 დეპუტატი გამოგვიშვეს. მე მივმართე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, რომ ამით დიდ შეცდომას სჩადის, რომ საერთოდ, დაანებოს თავი სხვადასხვა აქციის მოწყობას, რომ ქვეყნის პრეზიდენტად არჩეულმა კეთილინებოს, იპრეზიდენტოს და თავისი მოვალეობა შეასრულოს.

ასევე მოვუწოდე, რომ დაითხოვოს უზენაესი საბჭო, რომლის უმრავლესმა წევრმა არც კი იცის, თუ როგორ უყაროს კენჭი ამა თუ იმ საკითხს, სანამ პრეზიდენტი არ მიანიშნებს მწვანე ან წითელი ბარათით. ვუთხარი, რომ ამგვარი საბჭოთი შორს ვერ წავა და, სამწუხაროდ, ჩემი წინასწარმეტყველება გამართლდა.

**– „მემორიალი“? ჩოხოსნები? სხვა საზოგადოებრივი მოღვაწეობა?**

– მოგეხსენება, რეპრესირებული მშობლების შვილი ვარ და საზოგადოება „მემორიალის“ პრეზიდენტად ამირჩიეს, 10 წელი დავრჩი ამ როლში და ახლა საპატიო პრეზიდენტი გახლავართ. ამდენივე ხანს ვიყავი ქართველ ჩოხოსანთა საზოგადოების წინამძღოლი და აქაც საპატიო პრეზიდენტობაში გადასვლის პატივი მერგო.

სხვადასხვა დროს არჩეული ვყოფილვარ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, რაიონული საბჭოს დეპუტატად, გარკვეული წლების მანძილზე ცესკოს წევრიც გახლდით. „სახალხო კრების“ დამფუძნებელთა რიცხვში ვითვლები, თუმცა, ჩემდა დასანანად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მის მუშაობაში აქტიურად ვეღარ ვმონაწილეობ. უთუოდ უნდა შევნიშნო, რომ ღრმა პატივისცემას ვგრძნობ ქალბატონი ნინო ბურჯანაძის პიროვნებისა და მოღვაწეობის მიმართ.

**– ქვეყნის დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებით როგორია შენი მოსაზრებები?**

– სრულ სოლიდარობას ვუცხადებ ბატონ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკას, მჯერა, რომ ის გამოგვიყვანს ამ უმძიმესი მდგომარეობიდან. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მხურვალე მადლობას გადავუხდი ჩვენი აკადემიკოსების უანგარო დახმარებისათვის.

ჩემი გულითადი სურვილია, რომ ქვეყანაში სიმშვიდემ დაისადგუროს, სამართლიანობა აღდგეს და დაწყნარებული შევხვდე ბატონი მიქელ-გაბრიელის მობრძანებას...

**– ჯერ ღმერთმა დაგიფაროს მისი სტუმრობისაგან... რამდენიმე „ლირიკულ წიაღსვლას“ შემოგთავაზებ შენის ნებართვით... ახალგაზრდობაში თუ გიჩხუბია?**

– როგორ არა, აქაც და მოსკოვშიც, მეც გავლახულვარ და მეც გამილახავს. ამას ახალგაზრდობაში ვერ ასცდები, ოღონდ მხოლოდ მუშტით უნდა იჩხუბო. ისე, მარტო მოსკოვის ასპირანტთა საერთო საცხოვრებელში ორი ასპირანტი მყავს გალახული გოგონებისადმი არავაჟკაცური მოპყრობისათვის. „ბიჭმა გოგოს რომ აკოცოს, ამით რა დაშავდება“, მაგრამ ბიჭმა გოგოს პანღური ამოარტყას?.. ერთ შემთხვევაში, როცა ასეთ უგვანოს გავუსწორდი, ინსტიტუტის დირექციაში მიჩივლეს და ასპირანტურიდან გარიცხეთო, მოითხოვეს. იქ კი, გალახვის მიზეზი რომ გაიგეს, „მალადეცო“, მითხრეს და გაფრთხილება მაკმარეს...

**– ცხოვრებაში თუ გწყდება რამეზე გული?**

– ზოგ რაღაცაზე კი; მაგალითად, გული მწყდება რომ ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ფიზიკოსად ვერ დავრჩი, თუმცა ჩემი სპეციალობაც ძალზე საინტერესოა.

**– მაგ საინტერესო პროფესიის გარეთ რა გიყვარს?**

– ახალგაზრდობაში სპორტი მიტაცებდა, ფეხბურთს არცთუ ურიგოდ ვთამაშობდი, ვჭიდაობდი ბერძნულ-რომაულს, სტუდენტობისას II თანრიგამდეც მივედი. მიყვარდა ჭადრაკი და ახლა, ასაკის გამო, მხოლოდ ჭადრაკით ვიკმაყოფილებ ჩემს სპორტულ მოთხოვნილებებს.

**– რას აფასებ ადამიანში, რა მიგაჩნია ადამიანის მოვალეობად ქვეყნად მოვლენისთანავე?**

– ვალდებულება, იყოს სამშობლოს ერთგული და მისთვის სიცოცხლეც არ დაიშუროს. ადამიანი ვალდებულია, ქვეყანას ღირსეული შვილები გაუზარდოს, კაცურად იცხოვროს; როდესაც ისეთ ტიპს შეხვდება, რომელზეც იცის, რომ ყოველნაირი უსინდისობის მკადრებელია, გაშლილი ხელებით არ უნდა შეხვდეს, არ უნდა გაუღიმოს, ცივად მიესალმოს და ამით შემოიფარგლოს.

**– ბოლოს, მინდია, ოჯახზეც გვითხარი ორიოდე სიტყვა.**

– ღმერთმა გამომარჩია, ბედმა გამიღიმა, რომ ჩემი მეუღლეა, აგერ უკვე 52 წელია, თამარ ჯაში, უკეთილშობილესი ქალბატონი და ამდენი ღირსებით გამორჩეული. ორი ქალიშვილი მყავს, როგორც ნამდვილ ვაჟკაცებს სჩვევიათ – მანანა და მარინა, ორიც შვილიშვილი – სანდრო და თათა. ახლახან შვილთაშვილი შეგვეძინა – კატო, რომელმაც ყველას სიყვარული გადამიფარა...

**ძვირფას რესპონდენტს, ჯანმრთელობაზე რომ დაიჩივლა და მიქელ-გაბრიელის სტუმრობა ახსენა, სწორედ ჯანზე ყოფნა და მიქელ-გაბრიელის „ვიზიტის“ შორს, ძალიან შორს გადადება უნდა ვუსურვო. მე ხომ დამსწრე და მოწმე ვიყავი, თუ რა მარჯვედ უძღვებოდა ჩვენი ეროვნული აკადემიის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილების აგერ უკვე 20 წელია ხელმძღვანელი, აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე თავისი და „შემოერთებული“ ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების იმ სხდომებს, რომლებზეც აკადემიკოსობის კანდიდატებს უსმენდნენ განვლილი აპრილის მეორე დეკადაში. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია, ერთი დასტურია იმისა, თუ კიდევ რამდენის გაკეთება შეუძლია მეცხრე ათეულში დიახაც რომ ამაყად შებიჯებულ ამ კაცს.**

**კი, 80 წელი ცოტა როდია, „ოთხმოცი წელი ოთხმოცი წელია, მძიმე ტვირთია და მხრების დამწევია“, მაგრამ თუ „დავახურდავებთ“ ორჯერ ორმოცად, ან, კიდევ უკეთეს ვარიანტში, ოთხჯერ ოცად, ეგებ გვეპატარავოს კიდეც...**

გაესაუბრა
**თამაზ ეზანიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# 9. სამი ვილემი, სამი დედოფალი და მეხუთე გადადგომა



სამი დედოფალი (მარცხნიდან მარჯვნივ): ჰოლანდიის დედოფალყოფილი, პრინცესა ვილჰელმინა, ჰოლანდიის დედოფალი იულიანა და ჰოლანდიის მომავალი დედოფალი, პრინცესა ბეატრიქსი (1956 წ.).

**გუშინ, 30 აპრილს, ტახტიდან გადადგა ჰოლანდიის დედოფალი ბეატრიქსი.**

**გადადგა 33-წლიანი ზეობის შემდეგ.**

**გადადგა შვილის სასარგებლოდ.**

**მრავალი წელია, ამგვარი გადადგომა ჰოლანდიის სამეფო სახლის ტრადიციად იქცა.**

**33 წლის წინათ, ზუსტად ასე, შვილის სასარგებლოდ, ოღონდ „მხოლოდ“ 32-წლიანი ზეობის შემდეგ, ტახტიდან გადადგა ბეატრიქსის დედა, ჰოლანდიის წინა მონარქი, დედოფალი იულიანა.**

**ხოლო მანამდე ასევე შვილის სასარგებლოდ ტახტზე უარი თქვა ბეატრიქსის დიდედამ, ჰოლანდიის დედოფალმა ვილჰელმინამ.**

განსხვავება ის იყო, რომ ვილჰელმინამ ჰოლანდიის სამეფო ტახტზე 58 წელი დაჰყო, რითაც იგი რეკორდსმენ მონარქთა პირველ ათეულში შედის.

თუმცა რომ არ გადამდგარიყო და სიკვდილამდე ემეფა, როგორც მონარქთა წესია, აბსოლუტურ რეკორდსმენს, ლუდოვიკო XIV-საც კი დაეწეოდა, რომელმაც 72 წელიწადი და სამი თვე დაჰყო საფრანგეთის და ნავარის სამეფო ტახტზე. გადადგომის შემდეგ ვილჰელმინამ კიდევ 14 წელი იცოცხლა. ასე რომ, ზეობა 72 წელი და ხუთი დღე გამოუვიდოდა. თუმცა ის სხვა საკითხია, მონარქის ვალდებულებებით დატვირთული, იცოცხლებდა თუ არა ამდენს.

24 წელი იცოცხლა გადადგომის შემდეგ დედოფალმა იულიანამ და 2004 წელს მიიცვალა 94 წლისა.

ბეატრიქსი ჯერ მხოლოდ 75 წლისაა.

მოხდა ისე, რომ მთელი 123 წლის განმავლობაში ჰოლანდიას მეფე არ ჰყოლია — ამ ქვეყნის სამეფო ტახტზე ზედიზედ სამი დედოფალი იჯდა, რაც უნიკალური შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში.

კიდევ ერთი საინტერესო მომენტი: სამ დედოფლამდე ჰოლანდიის ტახტზე იჯდა ზედიზედ სამი უილიამი, გერმანულად — ვილჰელმი, ჰოლანდიურად — ვილემი: ვილემ I, ვილემ II და ვილემ III.

ჰოლანდიის ანუ ნიდერლანდის სამეფო 1815 წელს შეიქმნა ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით და მასში საკუთრივ ნიდერლანდის გარდა თანამედროვე ბელგიაც გაერთიანდა.

მანამდე ჰოლანდია საფრანგეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, და 1806 წლიდან მეფედ ნაპოლეონის ძმა ლუი ჰყავდა, რომლითაც ჩაანაცვლა ნაპოლეონმა 1795 წლიდან, მისი ჯარების მიერ ოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილი ბატავიის რესპუბლიკის მმართველობა.

ხოლო პირველი სახელმწიფოებრივი ერთეული თანამედროვე ნიდერლანდის ტერიტორიაზე ჰოლანდიის საგრაფო გახლდათ, რომელიც 925 წლიდან რომის წმინდა იმპერიაში შედიოდა და რომელსაც 833 წლიდან მოყოლებული, 1299 წლამდე ჰოლანდიელ მონარქთა დინასტია მართავდა. შემდეგ მას ჰენეგაუტთა (1299-1354) და ბავარიელთა (1354-1436) დინასტიები ჩაენაცვლა, სანამ საგრაფო ფილიპე ბურგუნდიელის ხელში არ აღმოჩნდა და დინასტიურ ქორწინებათა მთელი რიგის შემდეგ ესპანეთის მეფეთა ხელში არ გადავიდა.

1507—1592 წლებში ჰოლანდიას ესპანეთის მეფეთა ნაცვლები მართავდნენ. მეცხრე და ბოლო მეფისნაცვალი ალექსანდრ ფარნეზე იყო, პარმის ჰერცოგი, რომლის მმართველობის მეორე წელს შეიქმნა უტრეხტის უნია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ერთგვარ კონფედერაციას, რომელშიც ნიდერლანდის შვიდი ჩრდილოური პროვინცია გაერთიანდა: ჰოლანდია, ზელანდია, უტრეხტი, ფრისლანდია, გრონინგენი, გელდერლანდი და ოვერესელი. კონფედერაციას ეგრეთ წოდებული გენერალური შტატები მართავდა, რომელშიც ყველა პროვინცია თითო დელეგატით იყო წარმოდგენილი. საკუთრივ პროვინციებში აღმასრულებელი ხელისუფლება სტატჰაუდერების — გენერალური შტატების რწუნებულების ხელში იყო. სტატჰაუდერებს სამუდამოდ ირჩევდნენ, ხოლო 1748 წლიდან ეს თანამდებოდა სულაც მემკვიდრეობითი გახდა. პირველი სტატჰაუდერი იყო ვილემ I უტყვი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ესპანელთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლას და ესპანელთა მიერვე იქნა მოკლული 1584 წელს 51 წლისა.

ვილემი ნასაუს გრაფი იყო, ქორწინებით კი ორანჟის სამთავროს პრინცი გახდა. ჰოლანდიის სამეფოს დღევანდელი დინასტია — ნასაუ-ორანჟის დინასტია სწორედ მისგან იღებს სათავეს. დიდხანს ჰოლანდიელ მონარქისტებს ორანჟისტები ერქვათ. ამ დინასტიასთან არის დაკავშირებული ჰოლანდიის ეროვნული ფერიც — ნარინჯისფერი. უტრეხტის უნიაში შემავალი პროვინციების რწმუნებულთა უმეტესობა ნასაუ-ორანჟის საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ.

ვილენ უტყვი ორანჟელის შემდეგ ჰოლანდიის სტატჰაუდერი იყო მორიც ორანჟელი, მას მერე — ფრედერიკ ჰენდრიკ ორანჟელი, ხოლო მას შემდეგ ზედიზედ კიდევ ოთხი ვილემ ორანჟელი გამეფდა: ვილემ II, ვილემ III, ვილემ IV და ვილემ V.

ვილემ V ნიდერლანდის გაერთიანებულ პროვინციათა უკანასკნელი სტატჰაუდერი გახლავთ და ჰოლანდიის მონარქების ნებაყოფლობით გადადგომათა ტრადიცია სწორედ მისგან იღებს სათავეს. თუმცა, მისი გადადგომა მთლად ნებაყოფლობითი არ ყოფილა — ჯერ იყო და ბატავიის რევოლუციას განერიდა და ოჯახითა და სამეფო კარით აპელდორნის რეზიდენციას შეაფარა თავი, მერე კი, ნიდერლანდში საფრანგეთის რევოლუციური არმიის შეჭრის შემდეგ, ლონდონს მიაშურა ხოლო დიდი ბრიტანეთის მიერ ბატავიის რესპუბლიკის აღიარების შემდეგ გერმანიაში გადასახლდა, სადაც აღესრულა კიდეც 1806 წელს 55 წლისა.

სწორედ ამ ვილემ V-ის შვილი გახლდათ ის ვილემ I, ვილჰელმინას დიდი პაპა, რომელიც ვენის კონგრესის გადაწყვეტილების შემდეგ მთელი ნიდერლანდის მეფედ გამოაცხადეს.

ვილემ I კი მას იმიტომ უწოდეს, რომ მისი წინაპარი სხვა ვილემებისაგან განსხვავებით, მას ნიდერლანდის ჩრდილოეთის პროვინციებთან ერთად სამხრეთ ნიდერლანდიც დაუმორჩილეს და პირადი უნიის სახით ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოც უბოძეს.

ამ ვილემს ოთხი შვილი ჰყავდა — ორი ვაჟი და ორი ქალი. ორივე ვაჟს ვილემი ერქვა, ორივეს ვილემ-ფრედერიკი: ვილემ-ფრედერიკ-გეორგ-ლოდევიკი და ვილემ-ფრედერიკ-კარელი. ასევე, ორივე ქალიშვილს ვილჰელმინა ერქვა: ვილჰელმინა-ფრედერიკა-ლუიზა-პოლინა-შარლოტა და ვილჰელმინა-ფრედერიკა-ლუიზა-შარლოტა-მარიანა. ნეტა ან მშობლები როგორ არჩევდნენ ერთმანეთისგან ან შინაურები!

სხვათა შორის, ვილემ პირველი ერთადერთი მონარქია, რომლის სახელიც მინერალს ეწოდა. ვილემიტი კაშკაშა მწვანე ფერის მინერალია, რომელიც საიუველირო საქმეში გამოიყენება და რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს კოლექციონერებში.

თავად ვილემ პირველი კი სულაც არ ყოფილა პოპულარული. თუმცა, იგი კბილებით იცავდა სამხრეთ ნიდერლანდს — ბელგიას, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰყვა დიდ სახელმწიფოთა ნებას და ბელგიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამასთან, ვილემ I-ის მეფობისას ნიდერლანდს ვეება სახელმწიფო ვალი დაედო. კიდევ უფრო არაპოპულარული გახდა იგი, როცა გამოაშკარავდა მისი რომანი თან კათოლიკე და თან ბელგიელ გრაფინია ჰენრიეტა დ'უტრემონთან.

ისიც ადგა და — მკითხველი არ დაიჯერებს! — გადადგა. 1840 წლის 7 ოქტომბერს მან სამეფო გვირგვინი თავის უფროს ვილემს გადააბარა თავად კი ნასაუს გრაფის ტიტულით ბერლინს დასახლდა და ის თავისი გრაფინია ცოლად მოიყვანა.

ვილემ II — ოქსფორდის კურსდამთავრებული და ვატერლოოს ომის მონაწილე, რომელმაც, როგორც ნიდერლანდიის არმიის მთავარსარდალმა, 1830 წლის 16 ოქტომბერს, გადააჭარბა რა თავის უფლებამოსილებას, ცნო ბელგიის დამოუკიდებლობა, რის გამოც ბელგიელთა სიმპათია და მამამისის რისხვა დაიმსახურა, არ გადამდგარა!

ვილემ II სიკვდილამდე მორჭმით მეფობდა და იგი, ფაქტობრივად პირველია ჰოლანდიელ მონარქთაგან, რომელიც არ გადამდგარა. ვილემ II მის საყვარელ ტილბურგში გარდაიცვალა და მის პატივსაცემად დღეს ამ ქალაქის საფეხბურთო კლუბს „ვილემ II“ ჰქვია. სხვათა შორის, ვილემ II-ს ცოლად ჰყავდა რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I-ის და, დიდი მთავრინა მარია პავლოვნა, ნიკოლოზ II-ის დიდი პაპიდა. მათ ხუთი შვილი ჰყავდათ — ოთხი ვაჟი და ერთი ქალი. ქალს, რა თქმა უნდა ვილჰელმინა ერქვა, ოთხივე ვაჟს კი — რაღა თქმა უნდა, — ვილემი. სამს ვილემ-ალექსანდერ-ფრედერიკი თავისი სხვადასხვა გაგრძელებით და ერთს — ვილემ-ფრედერიკი უალექსანდროდ.

ვილემ II-ის შემდეგ ვილემ III-ის სახელით მისი უფროსი ვილემი გამეფდა — ვილემ-ალექსანდერ-პაულ-ფრედერიკ-ლუი. ის დღემდე ჰოლანდიის უკანასკნელი მონარქია, რომელიც არ გადამდგარა.

მას ოთხი შვილი ჰყავდა: სამი ვაჟი და ერთი ქალი. სამივე ვაჟს, რასაკვირველია, ვილემ-ალექსანდერ-ფრედერიკი ერქვა სხვადასხვა კომბინაციითა და სხვადასხვა გაგრძელებით, ქალიშვილს კი — ახლა უკვე ყველა მიხვდება — ვილჰელმინა. ვაჟები მეფეს პირველი ცოლისგან ჰყავდა — დედოფალ სოფია ვიურტემბერგელისგან, ქალიშვილი კი — მეორე ცოლისგან, დედოფალ ემა ვალდეკ-პირმონტელისაგან.

ვილემ III-ის მეორე ვაჟი შვიდი წლისა გარდაიცვალა, იმ ორიდან კი ვერც ერთმა ვერ მიაღწია 40 წლის ასაკს. ასე რომ, 1890 წელს, როცა 51-წლიანი მეფობის შემდეგ ვილემ III გარდაიცვალა, მას ერთადერთი მემკვიდრეღა ჰყავდა — 10 წლის პრინცესა ვილჰელმინა.

დედოფალ ვილჰელმინათი დროებით, 123 წლის წყდება ორანჟელი ვილემებისა და ვილჰელმინების თითქმის ოთხსაუკუნოვანი ისტორია.

10 წლის პრინცესას გადედოფლებას ლუქსემბურგის დაკარგვა მოჰყვა, რადგან სალიკური სამართლისა და ნასაუთა საგვარეულო პაქტის თანახმად, ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში მემკვიდრეობა მხოლოდ მამაკაცთა ხაზით გადადიოდა. ვილჰელმინას რეგენტად დედამისი — დედოფალი ემა დაუნიშნეს, ჰოლანდია-ლუქსემბურგის პირადი უნია კი გაწყდა და ლუქსემბურგი ემას დედის ძმას — ნასაუს ჰერცოგს, ადოლფს დარჩა, ვისგანაც იღებს სათავეს ლუქსემბურგის მთავართა დღევანდელი დინასტია.

ვილჰელმინას დედოფლობის ხანა ალბათ ყველაზე რთული პერიოდი იყო ჰოლანდიის ისტორიაში. ყოველ შემთხვევაში, სწორედ მის დროს გადაიტანა ქვეყანამ ორი მსოფლიო ომი; მის დროს მოხდა ინგლის-ბურების ომი, რომელიც გინდა-არგინდა ჰოლანდიასაც შეეხო: მის დროს დაიპყრო ბრიტანეთმა ბურებით — პირველ ჰოლანდიელ კოლონისტთა შთამომავლებით დასახლებული ტრანსვაალისა და ორანჟის რესპუბლიკები. გარდა ამისა, მის დროს შემოეძარცვა ჰოლანდიას კოლონიათა დიდი ნაწილი.

სულ 20-იდე წლისა იყო დედოფალი, როცა ბურების მეორე ომის დროს ტრანსვაალის პრეზიდენტის პაულ კრიუგერის გადასარჩენად სამხრეთ აფრიკაში სამხედრო ხომალდი გააგზავნა. ინგლის-ბურების ომების დროს ვილჰელმინას სერიოზულად დაეძაბა ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან. ამის მიუხედავად, როცა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიამ ნიდერლანდის ოკუპაცია მოახდინა, ინგლისის მეფემ გეორგ VI-მ სამხედრო ხომალდი გაუგზავნა დედოფალს და ის, მისი ოჯახი და ნიდერლანდის მთავრობა ინგლისს ჩაიყვანა და ბიბისის ეთერიც დაუთმო.

ცნობილია ვილჰელმინას როლი მეორე მსოფლიო ომის დროს. იგი დიდხანს ცდილობდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას და თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ომის აცილებას, ხოლო მას შემდეგ, რაც 1940 წელს გერმანიის არმია ჰოლანდიაში შეიჭრა, იგი ინგლისს ლტოლვილ მთავრობას ჩაუდგა სათავეში. მისი ხმა, მისი სახელი და მისი გამოსახულება ჰოლანდიის წინააღმდეგობის მოძრაობის ხმად, ლოზუნგად და ლოგოდ იქცა. ჩერჩილისა და დე გოლის დარად, იგი რადიოს მეშვეობით მგზნებარე სიტყვებით მიმართავდა თანამემამულეებს და ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

ემიგრაციიდან დაბრუნებული დედოფალი თავისი სასახლის ნაცვლად ცალკე პატარა სახლში ცხოვრობდა და ხშირად მოგზაურობდა ველოსიპედით ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში თანამემამულეთა მოტივაციის ასამაღლებლად ომისშემდგომი აღმშენებლობისათვის.

ძალთა არათანაფარდობის მიუხედავად, ვილჰელმინა არ დაემორჩილა გერმანელ ოკუპანტებს. საერთოდ, იგი არავის არ ეპუებოდა. როცა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინ მას გერმანიის ყოვლისშემძლე იმპერატორი ვილჰელმ II ეწვია და ჰოლანდიის სიმცირის ხაზგასასმელად დედოფალს უთხრა, ჩემი მცველები შვიდფუტიანები არიან სიმაღლეში, თქვენები კი მხრებამდეც ვერ სწვდებიანო, ვილჰელმინამ მიუგო:

დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენები მართლაც შვიდფუტიანები არიან, მაგრამ როცა ჩვენ დამბებს ვხსნით, წყალი ათ ფუტამდე ადისო!

ომის შემდეგ დამარცხებულმა კაიზერმა სწორედ ნიდერლანდს შეაფარა თავი და როცა მოკავშირეებმა ვილჰელმინას ვილჰელმის გადაცემა მოსთხოვეს, მან მათი ელჩები დაიბარა და მოკლე ლექცია წაუკითხა პოლიტიკური თავშესაფრის რაობაზე.

როგორც ქალი, ვილჰელმინა ვერ იქნებოდა ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, მაგრამ ყველაფერს აკეთებდა ქვეყნის სამხედრო ძლიერებისაათვის. მოულოდნელად, წინასწარი გაფრთხილების გარეშე მივიდოდა ხოლმე ამა თუ იმ სამხედრო ნაწილში და შემთხვევითი არ იყო, რომ მას „ჯარისკაცების“ დედოფალს ეძახდნენ.

რუსეთის რევოლუციების შემდეგ ახალგაზრდა დედოფლის პირადმა ავტორიტეტმა გადაარჩინა თვითონ ისიც და მონარქიაც სოციალისტების და მათი ლიდერის პიტერ ტრულსტრას რევოლუციური ხელყოფისაგან. ყველაზე დაძაბულ მომენტში დედოფალი თავის პატარა გოგონასთან ერთად ღია ეკიპაჟით შევიდა აბობოქრებულ ხალხის ზღვაში და მთავრობას მათი ნდობა დაუბრუნა.

დედოფალმა ვილჰელმინამ არა ჰოლანდიის მონარქიის ფარგლებში, მაგრამ კვლავ ერთად შეჰყარა ნიდერლანდი, ბელგია და ლუქსემბურგი: 1944 წელს მისი თაოსნობით მოეწერა ხელი საბაჟო ხელშეკრულებას ამ სამ ქვეყანას შორის, რომელიც მერე ფართო ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირში გადაიზარდა და ბენელუქსი ეწოდა.

დედოფალი ვილჰელმინა კარგად ერკვეოდა ეკონომიკასა თუ ბიზნესში და თავისი დროის ერთ-ერთი უმდიდრესი ქალიც გახდა. მსოფლიოს უმდიდრესი ქალის სტატუსი მემკვიდრეობით გადაეცათ მის შვილსა და შვილიშვილს — ნიდერლანდის მომავალ დედოფლებს.

ვილჰელმინა 21 წლისა დაქორწინდა მეკლენბურგ-შვერინის დიდ ჰერცოგზე, რომელსაც მას მერე, რაც ნიდერლანდის სამეფოს პრინც-კონსორტი გახდა, ჰენდრიკი უწოდეს ჰოლანდიურ ყაიდაზე. ცხრა თვის შემდეგ ვილჰელმინას ორსულობა მკვდარი ვაჟის შობით დამთავრდა. მუცლის მოწყვეტით დასრულდა მისი მეორე ორსულობაც 1906 წელს. ჰოლანდიის ტახტის მემკვიდრეთა რიგში ვილჰელმინას ბიძაშვილები ჩადგნენ, რომელთა შორის რიგით პირველი იყო საქს-ვაიმარ-აიზენახის დიდი ჰერცოგი უილიამ-ერნსტი, ხოლო მეორე — პრინცესა მარია-ალექსანდრინა. მაგრამ უნაყოფო ქორწინების მერვე წელს 1909 წლის 30 აპრილს დედოფალს ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც, ოთხსაუკუნოვანი ოჯახური ტრადიციის საწინააღმდეგოდ, იულიანა დაარქვა. იულიანას დაბადების შემდეგ ვიჰელმინას კიდევ ორჯერ მოსწყდა მუცელი — 1912 წლის იანვარსა და ოქტომბერში.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



დედოფალი ბეტრიქსი (2013 წლის 29 იანვარი, გადადგომის შესახებ ტელევიზიით განცხადების გაკეთების დროს).

ომის წინა წლებში, 1937-ში თუ 1938-ში ვილჰელმინა რამდენჯერმე უნდა შეხვედროდა მეფის რუსეთის ყოფილ პოლკოვნიკს ალექსი ფანჩულიძეს. ეს მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა დედოფალი თავისი ქალიშვილისათვის, პრინცესა იულიანასათვის საქმროს ეძებდა და არჩევანი პრინც ბერნჰარდ ფონ ლიპე-ბიესტერფელდზე შეაჩერა. ალექსი ფანჩულიძე კი პრინცის დედის, ბარონესა არმგარდის, რბილად რომ ვთქვათ, ახლო მეგობარი და პრინცის, სულ ცოტა, მამობილი იყო.

ვილჰელმინა ემიგრაციიდან 1945 წელს დაბრუნდა, ხოლო 1947 წლის ბოლოს ავადმყოფობის გამო, სამეფო ვალდებულებანი იულიანას გადააბარა. კი ეხვეწა იულიანა, ქვეყნის სტაბილურობისთვის, კიდევ ორიოდე წელიწადს დარჩენილიყო ქვეყნის სათავეში, თავისი ზეობის წლები სამოცამდე მაინც დაემრგვალებინა, ვილჰელმინამ სცადა კიდეც ეს, რამდენიმე თვე კიდევ გაქაჩა, მაგრამ მეტი ველარ შეძლო და 1948 წლის 12 მაისს გადადგა. როგორც ჩანს, საამისოდ დრო მთლად ხელსაყრელი არ აღმონდა, რადგან რეგენტად დადგენილი იულიანა იძულებული გახდა, ვადამდელ არჩევნებს დათანხმებოდა, რასაც ინდონეზიის დაკარგვაც მოჰყვა. იულიანამ ვილჰელმინა საბოლოოდ 4 სექტემბერს შეცვალა სამეფო ტახტზე. ხოლო კვლავ პრინცესად ქცეულმა ვილჰელმინამ 1953 წელს კიდევ ერთხელ მოიარა ჰოლანდია, რათა თანამემამულეები ენუგეშებინა და გაემხნევებინა დამანგრეველი წყალდიდობის შემდეგ. მერე მან მოგონებების წიგნის დაწერაც მოასწრო და 1962 წელს გარდაიცვალა 82 წლისა. სამგლოვიარო ცერემონია, მისი სურვილის თანახმად და პროტოკოლის საწინააღმდეგოდ, თეთრ ფერებში ჩატარდა, რითაც დედოფალყოფილს იმის თქმა სურდა, რომ მიწიერი სიკვდილი ზეციური სიცოცხლის დასაწყისია.

დედის გარდაცვალებიდან 42, ხოლო გადედოფლებიდან 56 წლის შემდეგ, 2004 წლის 20 მარტს გარდაიცვალა მისი მემკვიდრე, დედოფალი იულიანა, მაგრამ მან თავისივე სურვილით „მხოლოდ" 32 წელი დაჰყო ნიდერლანდის სამეფო ტახტზე.

და აი, გუშინ, 2013 წლის 30 აპრილს, 29 იანვარს გაკეთებული წინასწარი განცხადების თანახმად, ტახტიდან გადადგა ვილჰელმინას შვილიშვილი და იულიანას შვილი ბეატრიქსი. მან თავისი გადაწყვეტილება ახალგაზრდებისთვის გზის დათმობის სურვილით ახსნა.

ნიდერლანდის ტახტზე მისი მემკვიდრე – ორანჟის პრინცის და ამსბერგთა სახლის მეთაური 46 წლის ვილემ-ალექსანდერი ავიდა ვილემ IV-ის სახელით.

ბოლო 33 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 30 აპრილს, ბეატრიქსის დაბადების დღეს ჰოლანდიაში დედოფლის დღე აღინიშნებოდა. წელს კი დედოფლის დღე მეფის დღედ იქცა და სამი დღით ადრე, 27 აპრილს – ვილემ-ალექსანდერის დაბადების დღე აღინიშნა.

თუმცა 30 აპრილსაც დიდი დღესასწაული იყო – ვილემის მეფედ კურთხევის დღესასწაული.

ასე დასრულდა ყველაზე ხანგრძლივი მატრიარქატი მსოფლიო მონარქიების ისტორიაში.

თუმცა, რად გინდა:

ვილემ-ალექსანდერს სამი ქალიშვილი ჰყავს.

**პაატა ნაცვლიშვილი**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# რუსეთის ბაზარზე პირველი ქართული თაფლი დაბრუნდება

**ფუტკრის პროდუქტი საქართველოდან გაიყიდება უფრო ადრე, ვიდრე ღვინო და „ბორჯომი" – უმალვე მაისის დღესასწაულების შემდეგ**

თაფლი იქნება პირველი ქართული პროდუქცია, რომელიც 2006 წლის ემბარგოს შემდეგ დაბრუნდება რუსეთის ბაზარზე.

– მაისის დღესასწაულების შემდეგ ჩვენ დავიწყებთ მიწოდებას. რუსეთის სასოფლო- სამეურნეო ზედამხედველობასთან მთავრდება სასერტიფიკაციო ფორმების შეთანხმება, – განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ზურაბ ჩეკურიშვილმა. – ჩვენი თაფლი კარგია, განსაკუთრებით მაღალმთიანი რაიონებიდან.

რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ზედამხედველობის წარმომადგენელთა კომენტარები ჩვენი გაზეთის ამ ნომრის გამოსვლისთვის ვერ მივიღეთ. რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ხელმძღვანელი გენადი ონიშჩენკოც ასევე მიუწვდომელი აღმოჩნდა ჩვენთვის. თავის მხრივ, უწყების პრესმდივანმა ლიუბოვ ვოროპაევამ განაცხადა, რომ მონაცემები თაფლთან დაკავშირებით მათ არ გააჩნიათ.

– თაფლთან დაკავშირებით არაფერი ვიცი. ჩვენ ამ საქმით არც ვართ დაინტერესებული, – უთხრა მან ჩვენს გაზეთს.



ჩეკურიშვილის სიტყვებით, თაფლის შემდეგ მოხდება ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი რუსეთში, შემოდგომით იქ დაიწყება ციტრუსების მიწოდება. რუსეთის წარმომადგენლებს ასევე აინტერესებთ ქართული კაკალი და მწვანილი.

– ემბარგოს გაუქმების შემდეგ პირველი 12 თვე გვიჩვენებს, რამდენად სტაბილური იქნება ურთიერთობა რუს პარტნიორებთან. შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ მიწოდების გაფართოების შესახებ, – დაუმატა ჩეკურიშვილმა. მან გვაცნობა, რომ მოსკოვში წარმატებული იყო მისი მოლაპარაკება რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ზედამხედველობაში. ემბარგოს მოხსნის შემდეგ პირველ ხანებში თანამშრომლობის შესახებ საუბრობს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილიც.

– მაისში იმედი გვაქვს, მივიღოთ რუსეთისგან პირველი სააქციზო მარკები და უმალვე გავაგზავნოთ ღვინო: პიონერი იქნება კომპანია „დუგლაძის ღვინის სახლი", რომელმაც სერთიფიკატების გაფორმების დროს სხვებზე მეტი აქტიურობა გამოიჩინა, – თქვა დავითაშვილმა.

მისი პროგნოზით, პირველი წლის განმავლობაში საქართველო შეძლებს, გაყიდოს რუსეთში 8-დან 10-მილიონამდე ბოთლი ღვინო და კონიაკი. ეს დაახლოებით 4-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ემბარგომდე იყო.

სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა სოჭის ბევრი რესტორნის ინტერესი კავკასიური სამზარეულოსა და ქართული ღვინისადმი.

– ასე რომ, 2014 წლის თამაშებზე იქნება არა მხოლოდ ჩვენი საუკეთესო სპორტსმენების ნაკრები, არამედ სახელგანთქმული ღვინის მარკების კოლექციებიც, – იმედი აქვს დავითაშვილს.

მაისში რუსეთში გაჩნდება „ბორჯომი". მიწოდება განხორციელდება მხოლოდ კომპანია „აიდს-ბორჯომი-რუსიას" რუსეთის ქვედანაყოფის მიერ. ამ ფირმის ქართულ ოფისში გვაცნობეს, რომ რუსეთში რეგისტრაციის შემდეგ აპრილის შუა რიცხვებიდან „პროცესი ვითარდება".

ადრე კომპანიის გენერალური დირექტორი ზაზა კიკვაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კომპანია რუსეთის ბაზარზე ბრუნდება „სიხარულით". ემბარგომდე „ბორჯომს" რუსეთის მინერალური წყლების ბაზარზე 13 პროცენტი ეკავა.

მაისის დღესასწაულების შემდეგ რუსეთის პატენტის სამსახურში ქათველი მწარმოებლების ინტერესების დასაცავად „საქპატენტის" ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრიდან შემოვა სია. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ირაკლი ღვალაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ „დოკუმენტაციის მომზადება დასრულებულია". დაქირავებული არიან იურისტები, რათა სარეგისტრაციო დოკუმენტები შეესაბამებოდნენ რუსეთის კანონებს.

– „საქპატენტში" დარეგისტრირებულია ქართული ღვინოების, მინერალური წყლებისა და რძის პროდუქტების 37 დასახელება, – თქვა ღვალაძემ. – ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი მარკები დაცული იყვნენ ფალსიფიკაციისგან რუსეთის ტერიტორიაზე. „რუსპატენტთან" დიალოგი მიმდინარეობს ერთობ ცივილიზებულად. საქართველო იცავს თავის ბრენდებს გეოგრაფიული სახელწოდებებით, მიუთითებს კონკრეტულად, საიდან შემოდის რუსეთში ჭაჭა, „ქინძმარაული", „ხვანჭკარა", ან „ბორჯომი".

საქართველოდან ღვინის და ღვინომასალების მიწოდებაზე სრული აკრძალვა რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობამ 2006 წლის 23 მარტს შემოიღო. იმავე წლის 26 აპრილს აიკრძალა რუსეთში მინერალური წყლების „ბორჯომისა" და „ნაბეღლავის" შემოტანა.

**ИЗВЕСТИЯ**

# ივანიშვილი: „სააკაშვილი განკარგავდა ბიუჯეტს, როგორც თავის ჯიბეს"

ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, ვისი უფლებამოსილებანიც ოქტომბერში იწურება, ბრალი დასდო ავტორიტარიზმსა და კორუმპირებულობაში.

საქართველოს პრემიერის სიტყვებით, მიხეილ სააკაშვილმა და მისმა მომხრეებმა „მაფიოზური სახელმწიფო ააგეს". „სააკაშვილი განკარგავდა ბიუჯეტს, როგორც თავის ჯიბეს, პირადი ინტერესებით, თავისი ოჯახისა და მეგობრების ინტერესებით", – აღშფოთებას ვერ მალავს პოლიტიკოსი.

ივანიშვილმა აღიარა, რომ სააკაშვილთან პირველსავე შეხვედრაზე მან შესთავაზა პრეზიდენტს გადადგეს, მაგრამ მან უარი განაცხადა, ვინაიდან „არ შეეძლო გაეყიდა საერთაშორისო გაერთიანება". „დაე, მან დაამთავროს თავისი ვადა, ასე უკეთესიცაა, დაე, მსოფლიომ დაინახოს, თუ ვინაა იგი!", – მიაჩნია ივანიშვილს.

კორესპონდენტის შეკითხვაზე იმის შესახებ, ხომ არ არის მისი მიზანი პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დანგრევა, ივანიშვილმა უპასუხა, რომ პარტიას ანგრევს თავად სააკაშვილი. „მე მიყვარს არა ნგრევა, არამედ შენება", – თქვა პრემიერ-მინისტრმა და ამავე დროს აღნიშნა, რომ თუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ვერ გაართმევს თავს ოპოზიციური პარტიის როლს, მისი ადგილი შეიძლება დაიკავოს ერთ-ერთმა ექვსი პარტიიდან, რომლებიც შედიან არჩევნებში გამარჯვებულ კოალიციაში. „ასეთი ამბები ხდება თავისთავად, თუ ოპოზიცია არ არის გარედან, იგი ჩნდება შიგნიდან", – დარწმუნებულია მილიარდერი.

საქართველოს ყველაზე მდიდარმა ადამიანმა აღიარა, რომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ორი წლის განმავლობაში ხელფასი დეპუტატებსა და ჩინოვნიკებს ეძლეოდათ მისი პირადი სახსრებიდან. მაგრამ ამჟამად იგი აღარ მონაწილეობს სამთავრობო პროგრამების დაფინანსებაში.

როდესაც კომენტარს უკეთებდა სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც გაიხსნა მაღალი რანგის ქართველ ჩინოვნიკებთან დაკავშირებით და რომლებიც იმყოფებოდნენ ხელისუფლებაში ოპოზიციის მოსვლამდე, ივანიშვილმა გამოთქვა ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ მიხეილ სააკაშვილი შეიძლება იქნეს დაპატიმრებული, მაგრამ დაარწმუნა ჟურნალისტები, რომ პროცესი პრეზიდენტზე იქნება მაქსიმალურად გამჭვირვალე. „არაფერი საერთო იულია ტიმოშენკოსთან არ იქნება", – გვარწმუნებს პოლიტიკოსი.

ივანიშვილს ასევე მიაჩნია, რომ ამ ცოტა ხნის წინათ დაწყებულმა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამოკვლევამ შუქი უნდა მოჰფინოს მომხდარს და ის არ არის მიმართული სააკაშვილის წინააღმდეგ, თუმცა, იგი არასწორად მოქმედებდა მაშინ შექმნილ სიტუაციაში.

რაც შეეხება რუსეთს, პოლიტიკოსის აზრით, ორი ქვეყნის ურთიერთობანი არ მოწესრიგდება „ხვალ ან ზეგ", მაგრამ ვაჭრობისა და კულტურის სფეროში უკვე გადაიდგა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ივანიშვილი რუსეთის ყოფნას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აფასებს, როგორც ოკუპაციას, თუმცა ამ პრობლემის გადაჭრისთვის ძალის გამოყენებას გამორიცხავს: „ჩვენი სტრატეგიაა საინტერესო ქვეყნის აგება, კარგი ეკონომიკითა და დემოკრატიული ინსტიტუტებით, რათა აფხაზებმა და ოსებმა მოინდომონ ამ ქვეყანაში ცხოვრება".

პრემიერ-მინისტრის სიტყვებით, პოლიტიკოსის პროფესია მის ხასიათს არ შეესაბამება: „არ მიყვარს დაპირებები. მე მიყვარს საქმის კეთება და ანალიზი". მიუხედავად ამისა, ის ძალიან მტკიცედ გრძნობს თავს პოსტზე: „თუ ჩონჩხი არ გაქვთ კარადაში, ნერვიულობის საბაბი არ არსებობს", – დარწმუნებულია ივანიშვილი.

**Le Monde.fr**

**დედამიწის ზურგზე**



**პარაგვაის ახალმა პრეზიდენტმა უარი განაცხადა ჯამაგირზე უსახლკარო ბავშვებისა და მძიმე ავადმყოფების სასარგებლოდ**

როგორც ორასიო კარტესმა განმარტა, მას „დიდ სიხარულს ანიჭებს შესწიროს ფული, რამაც შეიძლება შეცვალოს გაჭირვებულთა ცხოვრება". მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ქვეყანას სათავეში ჩაუდგა არა იმისთვის, რომ გამოიმუშაოს ფული თავისთვის, არამედ, პირიქით, რათა ხარჯოს იგი. კარტესი, სხვათა შორის, ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი პარაგვაელია.

* * *

**გამწვავება ისრაელში. პალესტინელმა მოკლა მრავალშვილიანი ებრაელი, სამხედრო-საჰაერო ძალებმა რაკეტით მოკლეს მოტოციკლისტი-ბოევიკი**




ახალგაზრდა არაბი თავს დაესხა ისრაელელს მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე კაპუახის რაიონში, შემდეგ ცეცხლი გაუხსნა მესაზღვრეებს. იგი დაჭრეს და ცოცხლად აიყვანეს. მოგვიანებით ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ზუსტი სროლებით ღაზის სექტორში გაანადგურეს ბოევიკი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სარაკეტო სროლებზე ეილატაში.

* * *

**სტრასბურგის სასამართლომ ტიმოშენკოს დაპატიმრება უკანონოდ მიიჩნია**



უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის სისხლის სამართლის დევნის დროს დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეხუთე მუხლი, გადაწყვიტეს სტრასბურგში. სხვათა შორის, ტიმოშენკოს საჩივარი წამებაზე არ დააკმაყოფილეს. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეუთოს რეზოლუციას აქვს დიდი სიმბოლური მნიშვნელობა.

* * *

**აფეთქება დამასკოში რუსეთის საელჩოს მახლობლად – ათობით დაღუპული და დაჭრილია**

აფეთქდა დანაღმული ავტომობილი, რომელიც იდგა მარჯის მოედანზე სირიის შინაგან საქმეთა სამინისტროს „ძველ" შენობასთან, სადაც ამჟამად საემიგრაციო სამსახურია. დღე-ღამის ნებისმიერ დროს აქ ხალხმრავლობაა, აგრეთვე აქ ბევრი სასტუმრო და მაღაზიაა.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№81. ოთხშაბათი, 1 მაისი, 2013 წელი.

**მოვლენის შემდეგ**



# სამშობლო გულში იხუტებს

**უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში დასრულებული ევროპის ჩემპიონატის ტრიუმფატორი — საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გუშინ გამთენიისას ჩამოფრინდა.**

ქართველ ძიუდოისტებს აეროპორტში გულშემატკივრებთან და ჟურნალისტებთან ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი მოადგილე თამაზ თევზაძესთან და სპორტის დეპარტამენტის უფროს ირაკლი დოლაბერიძესთან ერთად დახვდა. აეროპორტში ასევე მივიდნენ ოლიმპიური ჩემპიონები შოთა ხაბარელი, ზურაბ ზვიადაური, ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, ძიუდოს ფედერაციის წარმომადგენლები და ვეტერანი თუ მოქმედი სპორტსმენები.

ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა ძიუდოისტებმა ინდივიდუალურ ჩათვლაში სულ 3 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რაც საუკეთესო შედეგია ეროვნული ნაკრების არსებობის განმავლობაში.

ევროპის ჩემპიონები ამირან პაპინაშვილი (60 კგ.) ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ.) და ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ.) გახდნენ, ვერცხლის მედლები მოიპოვეს ნუგზარ ტატალაშვილმა (73 კგ), ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ.) და ადამ ოქრუაშვილმა (+100 კგ), ბრინჯაოს მედლის მფლობელი კი ზებედა რეხვიაშვილი (73 კგ) გახდა.

ამ შედეგით საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდა.

საქართველოს ნაკრებმა ჩემპიონობა მოიპოვა გუნდურ დაპირისპირებაშიც, რომლის ფინალში რუსეთის ეროვნული ნაკრები 4:1 დაამარცხა.

ფინალურ შეხვედრამდე ქართველებმა ჰოლანდიისა და ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი — უნგრეთის ნაკრებები დაამარცხეს. ევროპის ჩემპიონატში 44 ქვეყნის 500-მდე ძიუდოისტი მონაწილეობდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**რაგბი**

# წინაა „ქართული“ ფინალი

**ქართველი მორაგბეების ფრანგული გუნდები „კლერმონი“ და „ტულონი“ ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირ „ჰაინეკენის თასის“ ფინალში ითამაშებენ. 18 მაისს, დუბლინში, მთავარ პრიზს დავით ზირაქაშვილისა და ვიტო კოლელიშვილის „კლერმონი“ დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავას და კოტე მიქაუტაძის „ტულონს“ შეეცილება და პირველად ქართველი მორაგბე „ჰაინეკენის თასის“ გამარჯვებული გახდება, რომელიც ფეხბურთის ჩემპიონთა ლიგის ანალოგიური ტურნირია.**

„კლერმონმა“ 31259 მაყურებლის წინაშე ირლანდიურ „მანსტერს“ უმასპინძლა, დაძაბულ ბრძოლაში 16:10 გაიმარჯვა და „ჰაინეკენის თასის“ ფინალში თამაშის უფლება პირველად მოიპოვა. ვიქტორ კოლელიშვილი მასპინძელთა განაცხადში არ იყო, ზირაქაშვილი კი შერკინების პირველ ხაზში სრულად გაისარჯა.

„ტულონი“ „სარასინსს“ ინგლისში ეწვია. მატჩი ინგლისის ეროვნული ნაკრების მოქმედი და ძველი დამრტყმელებს — ოუენ ფარელისა და ჯონი უილკინსონის დუელად იქცა. უილკინსონმა კიდევ ერთი გამორჩეული თამაში ჩაატარა და ფრანგებს 24:12 მოაგებინა. ქართველ ლეგიონერთაგან განაცხადში მხოლოდ ქუბრიაშვილი იყო და მწვრთნელმა ის მხოლოდ დასკვნით 3 წუთში ათამაშა.



ამგვარად, 18 მაისს ქართველი მორაგბე აუცილებლად მოიგებს „ჰაინეკენის თასს“, რაც აქამდე არასდროს მომხდარა. გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, პრესტიჟული ჯილდო „კლერმონის“ ქართველებს ერგებათ, თუ „ტულონისას“.

**გიორგი შოთაძე**

**ფარიკაობა**

# „აფხაზეთის თასი“ მეზობლებს იკრებს

**თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, რუსთავის, გურიის, ზესტაფონის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის (ჩრდილო ოსეთი), თურქეთისა და კუვეიტის 80-ზე მეტი მოფარიკავე ჩაება „აფხაზეთის თასის“ მეორე გათამაშებაში (მთავარი მსაჯი — აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ ლოლუა), რომელსაც ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის დარბაზმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში 1999-2001 და 2002-2004 წლებში დაბადებული მუშკეტერები მონაწილეობდნენ. დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:**

**1999-2001 წლებში დაბადებულნი.**

**ხმალი. ბიჭები.** 1. ნიკა შენგელია (აფხაზეთი), 2. ჯავანშიხ აგაკიშიევი (აზერბაიჯანი), 3. ვაჟა რეჭია (აფხაზეთი — ქუთაისი), ხალიდ ასადოვი (აზერბაიჯანი). **გოგონები.** 1. ანა აფრასიძე (აფხაზეთი), 2. მარიამ შუბლაძე (ქუთაისი), 3. მარიამ აფციაური, ნინო მსუქნიშვილი (ორივე — თბილისი).

**რაპირა. ბიჭები.** 1. არმენ დალაქიანი, 2. გაგიკ გულოიანი (ორივე — სომხეთი), 3. გივი ხარატიშვილი (თბილისი), ახმად ალმიტაირი (კუვეიტი). **გოგონები.** 1. მარიამ ცუხიშვილი (აფხაზეთი—რუსთავი), 2. ლიკა ჯიჯეიშვილი (თბილისი), 3. ნანუკა ლეჟავა (თბილისი), ანა მელია (აფხაზეთი — თბილისი).



**დაშნა. ბიჭები.** 1. ედგარ პაშიკიანი, 2. ალან კესაევი (ორივე — რუსეთი), 3. გევორქ არაზიანი (სომხეთი), დავით დვალიშვილი (ქუთაისი). **გოგონები.** 1. მანანა საუმოვა, 2. მარინა კესაევა, 3. ანჟელა კაიტმაზოვა (სამივე — რუსეთი), ანა მელია (აფხაზეთი—თბილისი).

**2002-2004 წლებში დაბადებულნი. რაპირა. ბიჭები.** 1. გიორგი ხანდაველი (აფხაზეთი—რუსთავი), 2. ხაჩატურ არუთინიანი (სომხეთი), 3. ლევან ჟიჟიშვილი (ქუთაისი), ალექსანდრე დავიდოვი (თბილისი). **გოგონები.** 1. კესო ხურციძე (ქუთაისი), 2. ნანა რაზმაძე, 3. ნუცა ცაბაძე (ორივე — თბილისი), ქრისტინე მგალობლიშვილი (რუსთავი).

**ხმალი. ბიჭები.** 1. გიორგი მერკვილაძე (ქუთაისი), 2. გიორგი მარხულია (აფხაზეთი), 3. რუსტამ ახმედოვი (აზერბაიჯანი), ვატო არჩვაძე (თბილისი). **გოგონები.** 1. თამარ ჩარკვიანი (ქუთაისი), 2. აისელ ანადოვა, 3. პისტახანუმ დადაშევა (ორივე — აზერბაიჯანი), ნინო ლომთაძე (ქუთაისი).

**დაშნა. ბიჭები.** 1. მარტინ მკრტიჩიანი (სომხეთი), 2. თორნიკე ჩხეტიანი (ქუთაისი), 3. ლევონ გრიგორიანი (სომხეთი), თორნიკე ხომერიკი (ოზურგეთი). **გოგონები.** 1. ანა მაჩიტაძე (ზესტაფონი), 2. ულკეზ ჰუმბათლი (აზერბაიჯანი), 3. თინათინ ნუცუბიძე, მარიამ ღაჭავა (ორივე — ქუთაისი).

— თბილისურ ტურნირებზე საასპარეზოდ სიამოვნებით ჩამოვდივართ, — გვითხრა ოს მოფარიკავეთა მწვრთნელმა ირინა კესაევამ. — ამჯერად 23 სპორტსმენი ჩამოვიყვანეთ და მედლებიც საკმაოდ მოვიხვეჭეთ. მთავარი მაინც ის არის, რომ ქართველ კოლეგებთან მეგობრობა გვაკავშირებს და ეს ურთიერთობა არასდროს გაგვიწყვეტია. სწორედ ჩვენ, სპორტსმენებმა, უნდა შევუწყოთ ხელი უპირველესად ქართველ და ოს ხალხებს შორის უწინდელი მეგობრობის აღდგენას..

**გივი გაგუა**

**სურათზე: მარცხნიდან — ჩემპიონები: ანა მაჩიტაძე, ანა აფრასიძე, მანანა საუმოვა, არმენ დალაქიანი, ნიკა შენგელია.**

**ტანვარჯიში**

# ფავორიტი ისევ პირველია

**საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ეროვნულ ჩემპიონატში თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის 48 სპორტსმენმა იასპარეზა, თუმცა სპორტის ოსტატის პროგრამით სულ ორი გოგონა და ოთხი ვაჟი მონაწილეობდა მედლებისთვის პაექრობაში.** ვაჟთა მრავალჭიდში 153,5 ქულით ჩემპიონობა ჩვენი ნაკრების ლიდერმა პაატა ნოზაძემ მოიპოვა. გამარჯვებულს 38,8 ქულით (!) ჩამორჩა 15 წლის საბა აბესაძე, რომელიც სპეციალისტებს თბილისის 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ეიმედებათ. 48,6 ქულით მესამე იყო ქუთაისელი მიხეილ ხარაბაძე. გოგონებში პირველ-მეორე ადგილები რიონისპირელებმა - ნატალია ძიძიგურმა (101,9) და ნინო მახვილაძემ (85,5) გაიყვეს.



კანდიდატის პროგრამით საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **გოგონები.** 1. მაგდა რობაქიძე (93,8), 2. ქრისტინე მორჩაძე (ორივე-ქუთაისი, 84,2), 3. ნინო გუგეშაშვილი (ბათუმი, 79,05). **ვაჟები.** 1. ბიძინა სიჭინავა (145,2), 2. იოანე ჯიმშელეიშვილი (144,5), 3. ლევან სხილაძე (სამივე - თბილისი, 129,4).

ქართველი ტანმოვარჯიშეები 8-10 მაისს ბათუმში მსოფლიოს ჩემპიონის — რუსუდან სიხარულიძის თასის გათამაშებაში გამოვლენ.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: პაატა ნოზაძე.**



ჩემპიონთა პირამიდა

**აკრობატიკა**

# საუკეთესო შვიდეული ბულგარეთს გაემგზავრება

**გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრის დარბაზმა სპორტულ აკრობატიკაში საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა. პირველობისთვის თბილისის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავისა და მარნეულის 80-ზე მეტი სპორტსმენი იბრძოდა. განსაკუთრებით საინტერესო პაექრობები გაიმართა საერთაშორისო პროგრამით გოგონათა წყვილებში.** 29,3 ქულით პირველი ადგილი თბილისელებმა — ნინო სირაძემ და ანი ჯოხაძემ დაიკავეს. გამარჯვებულებს 0,3 ქულით ჩამორჩნენ და მეორე ადგილზე გავიდნენ ბათუმელები — ლანა ცეცხლაძე და ლელა ქადამაძე. 27,9 ქულით მესამე ადგილი ქუთაისელებს — თინათინ რიჟამაძეს და თინათინ თედორაძეს ერგოთ. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გოგონათა სამეულში — მარიამ ფოფხაძე, თინათინ პარწიკანაშვილი და გვანცა მურღულია (28,95). ვაჟთა წყვილებში — ტარიელ სირაძე და გიორგი ოქროპირიძე (ყველა - თბილისი, 27,05). ვაჟთა ჯგუფური პირველობაც დედაქალაქელებმა — ლაზარე გელაშვილმა, გოგა ჩინჩალაძემ, ოთარ ავლოხაშვილმა და ნიკა ბროლაშვილმა (16,15) მოიგეს.

საგულისხმოა, რომ შვიდი მაისიდან ბულგარეთი სპორტულ აკრობატიკაში დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. იმ შეჯიბრებაში სვეტლანა ფეიქრიშვილის ხელმძღვანელობით ისპარეზებენ საქართველოს ჩემპიონებიც: ანი ჯოხაძე, ნინო სირაძე (გოგონათა წყვილებში), მარიამ ფოფხაძე, თინათინ პარწიკანაშვილი, გვანცა მურღულია (სამეულებში), გიორგი ოქროპირიძე, ტარიელ სირაძე (ვაჟთა წყვილებში). ბულგარეთში მსაჯებად არიან მიწვეული საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები — ნინო ბერიანიძე და დალი ფეიქრიშვილი.



საუკეთესო შვიდეული, რომელიც ბულგარეთში იასპარეზებს

**ლექსო ცინცაძე**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

### სხვა გაზეთებიდან

# „ნიუ-იორკ თაიმსი“: საქართველოს ხელისუფლება ფრედი ვუდროფის საქმის გამოძიებას აპირებს



**საქართველოს ახალი ხელისუფლება 20 წლის წინათ თბილისის გარეუბანში, მანქანაში მოკლული აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფიცრის ფრედი ვუდროფის მკვლელობის სკანდალური საქმის გამოძიებას აპირებს. ამის შესახებ „ნიუ-იორკ თაიმსი“ იუწყება.**

„საქმე სათანადოდ არ გამოძიებულა. ჩვენ სერიოზული ეჭვები გვაქვს იმასთან დაკავშირებით, რაც რეალურად მოხდა“ – განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა სტრასბურგში ყოფნისას მიცემული ერთ-ერთი ინტერვიუს დროს.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს წარმომადგენელი ფრედი ვუდროფი, რომელიც კავკასიის რეგიონში სააგენტოს წარმომადგენელი იყო, 1993 წლის 8 აგვისტოს მოკლეს. საგამოძიებო საქმის მიხედვით, ის ნასვამი მამაკაცის ტყვიას ემსხვერპლა. 1994 წელს მისი მკვლელობის ბრალდებით ანზორ შარმაიძე დააკავეს და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. თუმცა, მოგვიანებით სასჯელის ვადა 18 წლამდე გაუზარდეს. შარმაიძე 2008 წელს გათავისუფლდა, – წერს „ნიუ-იორკ თაიმსი“.

როგორც ამერიკულ გამოცემას საქართველოს იუსტიციის მინისტრმა განუცხადა, ის ახლოს არ გაცნობია საქმის დეტალებს. თუმცა, სჯერა, რომ შარმაიძე მხოლოდ იმიტომ გაასამართლეს, რომ „მათ სჭირდებოდათ ვიღაც“, ვისაც დააბრალებდნენ მკვლელობას, რამაც საქართველოს მაშინდელი ლიდერი ედუარდ შევარდნაძე სერიოზულად შეაცბუნა.

როგორც ამერიკული გამოცემა წერს, საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა კარგა ხნის განმავლობაში იყო გასვრილი პოლიტიკური ჩარევებით.

სტრასბურგში ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ვიზიტი, სწორედ ევროპელი მაღალჩინოსნებისა და დეპუტატების დარწმუნება იყო, რომ მისი ახალი მთავრობა კანონის უზენაესობის მიმდევარია. მისი პოლიტიკური ოპონენტი, კერძოდ, კი ქვეყნის პროამერიკელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მას სასამართლო სისტემის პოლიტიკური ქულების დასაწერად გამოყენებაში ადანაშაულებს.

სააკაშვილის რამდენიმე მოკავშირის წინააღმდეგ საგამოძიებო საქმე აღიძრა და როგორც ივანიშვილი აცხადებს, არსებობს „დიდი ალბათობა“, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი კორუფციისა და სხვა დანაშაულების ბრალდებით გასამართლდეს, მათ შორის 2011 წელს თბილისში გამართული აქციის ძალადობრივი გზით დარბევისთვის, წერს „ნიუ-იორკ თაიმსი“.

**„პრეზიდენტის მხარდამჭერების სამართლებრივი დევნა შერჩევითი სამართლის ან უარეს შემთხვევაში აშკარა პოლიტიკური დევნის ნათელ სურათს ასახავს“,** – ციტირებს „ნიუ-იორკ თაიმსი“ გიგა ბოკერიას სიტყვებს, რომელმაც აღნიშნა, რომ პრეზიდენტის წინააღმდეგ აშკარა სამხილი არ არსებობს და პრემიერ-მინისტრის რემარკებს სააკაშვილის წინააღმდეგ „მთავარი პოლიტიკური მეტოქის დისკრედიტაციის კიდევ ერთ მცდელობად“ აფასებს.

„ნიუ-იორკს თაიმსი“ ასევე ავრცელებს ფრედი ვუდროფის მკვლელობის ერთ-ერთი გამომძიებლის მაიკლ პულარას კომენტარს. იგი აცხადებს, რომ ერთობ სასიამოვნოა, თუ ახალი მთავრობა ამ მისტიკურ საქმეს გამოიძიებს. მისივე თქმით, შარმაიძე უბრალო მსხვერპლია, რომელიც ყველა მხარისთვის მისაღები იყო – ვაშინგტონისთვის, რომელსაც სურდა დამნაშავის დაკავება და რუსეთისთვის, რომელსაც ამ მკვლელობასთან არანაირი კავშირის ქონა არ სურდა.

როგორც ამერიკული გამოცემა აღნიშნავს, დაპირისპირება რუსეთსა და აშშ-ის შორის მძიმედ დააწვა საქართველოს 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

მღელვარე წლებში, რაც საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა, ვაშინგტონი სწრაფად შეეცადა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში საკუთარი ძლიერი წარმომადგენლობის შექმნას, მათ შორის საქართველოს დედაქალაქში ცენტრალური სადაზვერო სააგენტოს პოსტის შექმნას, რომელსაც ფრედი ვუდროფი ხელმძღვანელობდა.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ვუდროფი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფიცერს ოლდრიჩ ეიმსს შეხვდა, რომელიც მოგვიანებით რუსეთის ჯაშუშობისთვის გასამართლდა. ვუდროფს ერთი ტყვია ესროლეს მანქანაში, რომელსაც შევარდნაძის უსაფრთხოების ოფიცერი ელდარ გოგოლაძე მართავდა.

ვაშინგტონი და მოსკოვი აგრძელებენ სპარინგს საქართველოსთვის და ორივე ყურადღებით აკვირდება, როგორ გაუმკლავდება ურთიერთობას ივანიშვილი ცივი ომის ორი ყოფილ მეტოქესთან, – წერს „ნიუ-იორკ თაიმსი“.

**„მდიდარი ბიზნესმენი, რომელმაც ქონების უდიდესი ნაწილი რუსეთში იშოვა, რუსეთთან მანამდე გაყინული ურთიერთობების გალღვობას ცდილობს. თუმცა, ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მისი მთავრობა საქართველოს პროდასავლური კურსის შენარჩუნებას ცდილობს და მიუხედავად რუსეთის პროტესტისა, ყველა ძალისხმევას გამოიყენებს ნატოში გასაწევრებლად. მისივე თქმით, ბოსტონის მარათონის ტერაქტმა აჩვენა, რომ რუსეთს, აშშ-სა და საქართველოს ერთი საერთო მტერი ჰყავთ ჩეჩენი ბოევიკების სახით და მან პირობა დადო, რომ ბოლოს მოუღებდა ჩეჩენი სეპარატისტების საქართველოზე გავლას, რის მიმართაც წინა მთავრობა ტოლერანტული იყო“,** – წერს „ნიუ-იორკ თაიმსი“.

**„ვიცით, რომ წლების განმავლობაში საქართველო ბოევიკებისთვის ტრანზიტული ქვეყანა იყო. ეს ახლა აღარ ხდება. მიმდინარეობს გამოძიება იმასთან დაკავშირებით, რომ წინა მთავრობა თანამშრომლობდა სეპარატისტებთან“,** – მოჰყავს „ნიუ-იორკ თაიმსს“ ბიძინა ივანიშვილის სიტყვები, რომელმაც ასევე განაცხადა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი **„პროფესიონალი მატყუარაა“** და ევროპა და აშშ შეცდომაში შეყავდა. ახლა კი ევროპაცა და აშშ-ც მის რეალურ სახეს ხედავენ.

„ნიუ-იორკ თაიმსი“ წერს, რომ ბოკერია პრემიერ-მინისტრის გამონათქვამებს „პოლიტიკურად მოტივირებულ ბრალდებებს“ უწოდებს.

**„არ არსებობს იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობისას საქართველო რაიმე შეიარაღებულ დაჯგუფებას რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლის ნებას რთავდა. არ არსებობს უტყუარი ფაქტები, რომელიც ამ განცხადებებს გაამყარებს, რადგან ისინი აბსოლუტური ტყუილია“,** – ციტირებს სტატიის ავტორი გიგა ბოკერიას სიტყვებს.

### საგარეო ვაჭრობა

## ევროპული ავტომანქანები: ქართული ექსპორტის „თვალი“



**საგარეო სავაჭრო ურთიერთობებს ნებისმიერი ქვეყნისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს – დადებითი ბალანსი ადგილობრივი ეკონომიკის მაღალი კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, უარყოფითი სალდო კი, პირიქით, მის სისუსტესა და პროდუქციის არცთუ მაღალ ხარისხს მიანიშნებს.**

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული პირველი კვარტალის მონაცემების ერთ-ერთი ყველაზე სასიხარულო ინფორმაცია იმას ეხება, რომ 2013 წლის იანვარ-მარტში ქვეყნის ექსპორტმა, რომელმაც პირველი სამი თვის მანძილზე მთლიანად 565 მილიონი დოლარი შეადგინა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5 პროცენტით მოიმატა, ხოლო იმპორტის მოცულობამ ამავე პერიოდში 8 პროცენტით დაიკლო და მილიარდ 579 მილიონი დოლარი შეადგინა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წლის პირველ კვარტალში საქართველოში საქონლით სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე), ორი მილიარდ 144 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს 5 პროცენტით ჩამოუვარდება. აქვე დავძენთ, რომ კლებაა როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის კატეგორიებში.

წლის პირველ თვეებში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 550 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 11 პროცენტით ნაკლებია. მათ შორის, საქართველოდან საქონლის ექსპორტის მოცულობამ 97 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც ანალოგიურ პერიოდში შარშანდელთან შედარებით 8 პროცენტით ნაკლებია, ხოლო ექსპორტის მოცულობამ იმპორტს თითქმის 3,5-ჯერ გადაუსწრო და 457 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც ასევე ნაკლებია შარშანდელი ამავე პერიოდის მონაცემზე. თუ ეს ბოლო მონაცემი ერთგვარად პოზიტიურ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ, ექსპორტის ასე მნიშვნელოვნად შემცირება, ცოტა არ იყოს, საგანგაშო სიგნალია.

ამდენად, მიღებული მონაცემებით, ირკვევა, რომ საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის ქვეყნების მთლიანმა წილმა 26 პროცენტი შეადგინა, მათ შორის წლის პირველ კვარტალში მასში 17 პროცენტი ექსპორტის წილია, ხოლო 29 პროცენტი – იმპორტის. ანალოგიურ შარშანდელ მონაცემებს თუ ავიღებთ, ევროკავშირის ქვეყნების წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 27 პროცენტი იყო, სადაც ექსპორტზე 20, ხოლო იმპორტზე 30 პროცენტი მოდიოდა. ცალკეა აღსანიშნავი ის გარემოებაც, რომ ამ ქვეყნებზე წლეულს საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მესამედზე მეტი (35 პროცენტი) მოდის, შარშან კი ეს ციფრი ოდნავ ნაკლები იყო (34 პროცენტი).

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი სეგმენტია დსთ-ს ქვეყნებთან პარტნიორული, საქმიანი ურთიერთობა. მათ წილად წლის დამდეგიდან 717 მილიონი დოლარის ბრუნვა მოდის, რაც შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელზე 2 პროცენტით ნაკლებია. მთლიანი სავაჭრო ბრუნვის დაახლოებით 299 მილიონი დოლარი მოდის, საქართველოდან პროდუქციის ექსპორტზე, ხოლო 418 მილიონი – იმპორტზე მოდის. საგულისხმოა ასევე, რომ საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ს ქვეყნების მთლიანი წილი 33 პროცენტს შეადგენს, მათ შორის ექსპორტულ საქონელზე ნახევარზე მეტი, 53 პროცენტი, ხოლო იმპორტულზე – ორჯერ ნაკლები, 26 პროცენტი მოდის. 2012 წლის დასაწყისში ეს ციფრები, შესაბამისად 32,5 და 29 პროცენტის ტოლი იყო.

წლის დამდეგიდან მოყოლებული, საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების სიას კვლავინდებურად **თურქეთი** უდგას სათავეში, რომლის წილად 306 მილიონი დოლარი მოდის. პირველი სამეულის შემადგენლობაში ასევე არიან **აზერბაიჯანი** (297 მილიონი დოლარი) და **უკრაინა** (157 მილიონი დოლარი). უნდა ითქვას ისიც, რომ 2013 წლის პირველ კვარტალში საქართველოოს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის (რომელთა შორის, აღნიშნული თურქეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის გარდა, ასევე **ჩინეთი, რუსეთი, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, სომხეთი, რუმინეთი და ბულგარეთი** შედიან) წილი საქართველოს სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში 68 პროცენტის ტოლი იყო, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

ვფიქრობთ, საგულისხმოა ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვის ექსპორტ-იმპორტის კატეგორიებში წამყვან პოზიციებზე მოხვედრილი სასაქონლო ჯგუფების ნუსხის გაცნობა. საექსპორტო საქონლის პირველ ათეულის ლიდერ პოზიციას ისევე, როგორც ბოლო საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, კვლავაც **მსუბუქმა ავტოლმობილებმა** დაიკავეს, რომელთა ბრუნვამ 140 მილიონ დოლარს გადააჭარბა, რაც მთლიანად ექსპორტის მეოთხედს შეადგენს. მეორე ადგილზე, მთლიანი მოცულობის 12-პროცენტიანი წილით და 68-მილიონდოლარიანი მოცულობით **ფეროშენადნობთა** სასაქონლო ჯგუფია, მესამე პოზიცია 36-მილიონიანი მაჩვენებლით და მთლიანი მოცულობის 6-პროცენტიანი წილით **აზოტოვანი სასუქების** სასაქონლო ჯგუფს უკავია.

რაც შეეხება აღნიშნულ პერიოდში საქართველოში იმპორტირებულ საქონელს, წლის დამდეგიდან ისევე, როგორც ბოლო წლებში, პირველ ადგილზე კვლავაც **ნავთობპროდუქტები** რჩება, რომლებსაც იმპორტის კატეგორიაში 174 მილიონი დოლარის მოცულობით ბაზრის 11 პროცენტი უკავია. მეორე ადგილზე **მსუბუქი ავტომობილებია** (142 დოლარით, მთლიანი მოცულობით 9 პროცენტი), თუმცა კი, ამის მიხვედრა ისედაც შეიძლებოდა ქვეყნიდან მათი რეექსპორტის მოცულობის გათვალისწინებით. მესამე ადგილზე კი **გაზის იმპორტია,** რაც ასევე არ უნდა იყოს გასაკვირი, ხოლო ამ სასაქონლო ჯგუფის მიერ მთლიანი საიმპორტო ბაზრის 7-პროცენტიანი წილი 103 მილიონ დოლარს უდრის.

**ოთარ ტურაბელიძე**

### ალიან-ჩალიანი

## ჩეხეთში ქართველი ძებნილი დააკავეს

**ჩეხეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა საქართველოს მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი, 1955 წელს დაბადებული ზურაბ ნადირაძე დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნულმა პირმა 1994 წელს თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა გიორგი ქოიავა, გრიგოლ ნატროშვილი, გიორგი კირკიტაშვილი და იოსებ ქოიავა, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა.**

**ზურაბ ნადირაძე იმავე წელს ძებნილად გამოცხადდა, 2000 წლიდან კი ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით იძებნებოდა.**

**ჩეხეთის პოლიციამ ძებნილი არაერთხელ დააკავა, თუმცა, სასამართლო ექსტრადიციის მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა.**

**ამჯერად ექსტრადიციის საკითხი ჩეხეთის იუსტიციის მინისტრმა დადებითად გადაწყვიტა. ზურაბ ნადირაძე ქართულ მხარეს უახლოეს პერიოდში გადაეცემა.**

## ხანძარმა ქალბატონის სიცოცხლე იმსხვერპლა



**თბილისში, მარჯანიშვილის №29-ში ხანძარს 50 წლამდე ასაკის ქალი ემსხვერპლა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ძველი თბილისის რაიონის საგანგებო სამსახურის უფროსმა კობა ჯოხაძემ განუცხადა, გარდაცვლილი ქალბატონი მწოლიარე ავადმყოფი იყო.**

**ცეცხლი შენობის მეორე სართულზე ერთ ოთახში გაჩნდა და 15 კვადრატულ მეტრ ფართობზე გავრცელდა. ხანძრის გამომწვევი მიზეზი უცნობია.**

**ინტერპრესი**

### განცხადება

2013 წლის 14 მაისს დღის 11 საათზე მესამედ დანიშნულია სააქციო საზოგადოება „ყვარელის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. სს ყვარელის 2012 წლის წლიური ბალანსის განხილვა.
2. სხვადასხვა საკითხი.

**მისამართი:** ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქუჩა №72.

სს „ყვარელის“ ადმინისტრაცია



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### „ძვირფასი“ ბოლიდი



**ჩელიაბინსკთან ცოტა ხნის წინათ ჩამოვარდნილი მეტეორიტის ნამსხვრევებში მეცნიერებმა... პლატინა აღმოაჩინეს.**

ტბა ჩებარკულთან მეტეორიტის ჩამოვარდნიდან უკვე კარგა ხანი გავიდა, რომლის ნიმუშების შესწავლა მეცნიერებმა ეს-ესაა დაასრულეს და ერთობ შეუხედავ ნამსხვრევებში პლატინა აღმოაჩინეს! ამ ლითონის ერთი გრამი დაახლოებით 50 დოლარი ღირს. მიუხედავად ამისა, მათ, ვინც სამხრეთ ურალის მთებში მეტეორიტის ნამსხვრევების „სოლიდური კოლექციის“ შეგროვება შეძლო, გამდიდრების იმედი მაინცდამაინც არ უნდა ჰქონდეთ. საქმე ისაა, რომ ამ ძვირფასი ლითონის კონცენტრაცია ბოლიდში ძალიან მცირეა და მილიგრამებს არ აღემატება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლითონის ორიოდე გრამის მისაღებად საჭიროა რამდენიმე ათეული კილოგრამი ნამსხვრევის გადამუშავება.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბოლიდის თავდაპირველი წონა 10 ათასი ტონა და ზომით დიდი სატვირთო მანქანისხელა იყო. ყველაფერი, რაც მიწაზე არ ჩამოვარდა, ატმოსფეროში შესვლისას დაიწვა.

სხვათა შორის საინტერესოა ისიც, რომ მეტალურგებმა ბოლიდი დაიწუნეს: გადასადნობად ის უვარგისი იყო. იგი მხოლოდ დანების ანდა საიუველირო ნაკეთობათა საინკრუსტაციოდ თუ გამოდგებოდა.

ამასობაში კი ქალაქ ჩელიაბინსკთან, რომლის მახლობლად ტბაში მეტეორიტის ყველაზე დიდი ნამსხვრევი ჩავარდა, უკვე ემზადებიან „ციური სტუმრის“ ნარჩენის ამოსაღებად. წყალსაცავს უკვე ჩაუტარეს სხვადასხვა სახეობის სკანირება და მისი ზუსტი რუკაც შეადგინეს. ახლა საქმე წყალში ჩასვლასა და შლამიდან ბოლიდის ამოღებაზეა. ამის გასაკეთებლად კი საგანგებო საკნის დამზადებაა საჭირო, რომლიდან წყალს ამოქაჩავენ და მაშინ სპეციალისტი თავისუფლად მუშაობას შეძლებს.

### ადამის... უფროსი ძმა

**მეცნიერებმა სენსაციური აღმოჩენა გააკეთეს: ჩატარებული ანალიზების შედეგებით ირკვევა, რომ ადამიანი დედამიწაზე... ორჯერ (!) წარმოიშვა. ან იქნებ შეიქმნა?..**



ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატში ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი შავკანიანი ალბერტ პერის დნკ-ს შესწავლას გასაოცარი შედეგი მოჰყვა: აღმოჩნდა, რომ მისი გვარი ადამიანთა მოდგმისაზე... სამჯერ უფრო ასაკოვანია. ამ დასკვნის გამოტანის საშუალებას, არიზონის უნივერსიტეტის გენეტიკოს მაიკლ ჰამერს თუ დავუჯერებთ, „დედამიწის უძველეს ბინადართა“ შთამომავლის უცნაური Y ქრომოსომა იძლევა, რომელიც ადამიანის არც ერთ ქრომოსომას არა ჰგავს!

მამაკაცის Y ქრომოსომა იმის დადგენის შესაძლებლობას იძლევა, თუ როდის გაჩნდა დედამიწაზე თანამედროვე ადამიანთა საერთო წინაპარი. მეცნიერები ზოგადად კაცობრიობის წინაპრის „ადამის“ ასაკს დაახლოებით 140 ათასი წლით აფასებენ. „იმ ადამის“ ასაკი კი, რომლის შთამომავალი ალბერტ პერი იყო, დაახლოებით 338 ათასი წელია!

თავდაპირველად ჰამერმა თვალებს არ დაუჯერა. მაგრამ შემდგომ ექვსი ათასზე მეტი დნკ-ს ანალიზი ჩაატარა, რომელიც სხვა აფრიკელი ზანგებისგან აიღეს. და მათ შორის უძველესი Y ქრომოსომის კიდევ ექვს მატარებელს მიაგნო – ისინი ყველანი კამერუნის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდნენ. გამოდის, რომ ალბერტ პერის შემთხვევა ლაბორატორიული ანალიზების ჩატარების დროს დაშვებული შეცდომა არ არის: მამაკაცის მხრიდან ადამიანთა საერთო წინაპარი სულ მცირე ორი იყო: ადამი და მისი რომელიღაც უფროსი ძმა. როგორც ჩანს, მამაზეციერმა კაცთა მოდგმა ორჯერ შექმნა, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს.

თუ რამდენად წარმატებულია ორივე ცდა, თავად განსაჯეთ, ბატონებო!

### ყვავილები თქვენი სატრფოსთვის



**ბუნებრივია, რომ მეუღლისთვის თუ სატრფოსთვის ყველა მამაკაცი ყვავილებს საკუთარი გემოვნების მიხედვით არჩევს, მაგრამ ბევრმა იქნებ არ იცის, რომ არის მათი შერჩევის, ასე ვთქვათ „არაოფიციალური შკალა“, რომელიც ქალბატონის თმის ფერთან შეხამების პრინციპზეა დამყარებული.**

ქერათმიან ქალიშვილებს ყველა ღია და ნაზი ფერის ყვავილები მოუხდებათ. თუ რა ჯიშის ყვავილების თაიგული იქნება, – ეს თქვენზეა დამოკიდებული. მაგრამ თუ მასში ერთ ხასხასა ფერის ყვავილსაც გაურევთ, იგი თქვენი საყვარელი ქალის სინაზეს კიდევ უფრო მეტად გაუსვამს ხაზს.

ჟღალთმიან ქალიშვილებს უმჯობესია, ლურჯი, ცისფერი და იისფერი ყვავილები მივართვათ, თანაც თაიგულში რაც შეიძლება მეტი სიმწვანე უნდა იყოს. იგივე ელფერის ყვავილები მოუხდებათ წაბლისფერთმიან ქალბატონებს, ოღონდ თაიგული აუცილებლად ლამაზად შეაფუთინეთ – მშვენიერი სქესი ასეთი „წვრილმანების“ მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარეა.

შავგვრემან ქალბატონებს კი უფრო წითელი ვარდები, ხასხასა მიხაკები, შაბიამნისფერი გლადიოლუსები, დიდი გეორგინები უხდებათ. ყვავილების მსუყე ფერები ლამაზად შეეხამება თქვენი რჩეულის მუქ თმასა და თვალ-წარბს.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### სკანდალი!

**მიხეილ სააკაშვილის** პირადი პატიმარი და შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი – გენერალი თამაზ თამაზაშვილი ხანგრძლივ დუმილს არღვევს და საგაზეთო ინტერვიუში ექსკლუზიურად საუბრობს იმ სკანდალურ და დღემდე უცნობი ფაქტების შესახებ, რომლებმაც „ცოცხების პარტიის“ კვაზიფაშისტური და გარყვნილი რეჟიმის სიბილწე თავიდან ბოლომდე განსაზღვრეს.

**„ქრონიკა+“**

### „გაცოფებული ვარ“

**– ცოფებს** ყრის გია ბარამიძე რუსული მედიის მტკიცების გამო, რომ საქართველოში ჩეჩენი მებრძოლების გაწვრთნა ხდება, – როდესაც ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ლაპარაკობს, რომ რუსეთმა თურმე ომი კი არ დაიწყო, არამედ სხვანაირად მომხდარა და თურმე ტალიავინის დასკვნაში ეს ასე არ არის და სხვანაირადაა, ეს, როგორც მინიმუმი, არის ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო და ქვეყნის მიმართ ძალიან სახიფათო განცხადება.

**„ახალი თაობა“**

### ლაზიკა საქართველოს ნაცვლად სომხეთში აშენდება?!

**აშშ-ში** მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი დავით კარტოზია აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობამ „ლაზიკის“ 250-მილიონიან პროექტზე უარი თქვა, რის გამოც ამის განხორციელებას სომხეთში აპირებენ. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი ვოლსკი ამ განცხადებას ავანტიურისტულს უწოდებს და ამბობს, რომ ხელისუფლებას უარი კი არ განუცხადებია, არამედ პროექტის დაკონკრეტება მოითხოვა. ამერიკაში მცხოვრები ქართველებისა და იქაური ექსპერტების ჯგუფს აქვს პროექტი, რომელიც კავკასიის რეგიონში მშვიდობის დამყარებას გულისხმობს. პროექტის ერთ-ერთი შემდგენელი ნაწილია „ლაზიკა“, რომელიც ალტერნატიული ენერგიის წყაროებზე დაყრდნობით ქალაქის აშენებას და ხამანწკების ბიზნესის განვითარებას გულისხმობს.

**„რეზონანსი“**

### რა ხდება ილიაუნში?..

**როგორც** ილიაუნის პედაგოგი, ფილოსოფიის სრული პროფესორი ზურაბ გაგნიძე გვაუწყებს, „სამი დღის წინ უნივერსიტეტის რამდენიმე პედაგოგი, რომლებიც ცისფერობაში არიან მხილებულნი, სტუდენტებმა გალახეს. და, განა, ეს პირველი შემთხვევა იყო! „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხალხი გამოვიდა და ამ ნაცემ ხალხს იცავდა. იმ ცისფერების გვარებს არ გეტყვით, უხერხულია, ისე, ეს უნივერსიტეტში ცნობილი ამბავია.

**„ალია“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**მოგწყინდა** სიღარიბე? აიღე ბანკის სესხი და გაღატაკდი!

* * *

**განცხადება:** მხატვრული ფილმის „ქარწაღებულების“ გადასაღებად გვჭირდება ძალიან გამხდარი მსახიობი გოგონები.

* * *



**სამი** ტიპი თავისი ცოლებით ტრაბახობს:

– ჩემი ტანია ნამდვილი ოსტატია. რაღაცნაირად თეფში გამიტყდა. მან კი ისე შეაწება ნამტვრევები, თითქოს არც გატეხილიყოს. აი, ნახეთ!

– ერთხელ შარვალი გამეხა, – ამბობს მეორე, – ჩემმა სვეტამ კი ისე გაკერა, თითქოს არც გახეულიყოს. აი, ნახეთ!

– მე კი ჩემმმა ანკამ პერანგი გამირეცხა, ნახეთ, თითქოს არც გაერეცხოს!..

* * *

**ქმარი** მივლინებიდან ორი დღით ადრე დაბრუნდა, გააღო ბინის კარი და გადადგა ნაბიჯი სიყვარულიდან სიძულვილამდე.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com